პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 249 (10025) | ოთხშაბათი, 20 ოქტომბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე მაო ძე-დუნის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეპეშა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი (1-ლი გვერდი).

მეტი ყურადღება ასპირანტების მომზადებას (მე-2 გვერდი).

მეცხოველეთა შრომითი აქმეები (მე-2 გვერდი).

სარეწაო კოოპერაცია უკეთ უნდა მუშაობოს (მე-2 გვერდი).

წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).

**ლ. ალექსიძე.** — არჩევნები ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაიკომის ინსტრუქტორი მტს-ის ზონაში

რაიონული პარტიული აპარატის გარდაქმნის საფუძველზე საგრძნობლად ამაღლდა რაიკომის ინსტრუქტორთა როლი, პარტიული ხელმძღვანელობა მიუახლოვდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებს, აღმოიფხვრა გაუპიროვნება მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში.

რაიკომის ინსტრუქტორები პარტიულ მუშაკთა ყველაზე მრავალრიცხოვანი რაზმია. მათ უნარზე, მათ მუშაობაზე დიდად დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის საყოველთაო-სახალხო ამოცანის წარმატებით განხორციელება. ინსტრუქტორები მოვალენი არიან გასწიონ დაუღალავი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მასებში, იბრძოლონ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, დაეხმარონ ძირეულ კადრებს მეურნეობის ხელმძღვანელობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში, შენიშნონ და მხარი დაუჭირონ ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი საზოგადოების წინსვლას. რაიკომის ინსტრუქტორი მტს-ის ზონაში პასუხისმგებელია ბისი მომსახურების კოლმეურნეობებში საქმის მდგომარეობისათვის, იგი მუდამ კოლმეურნეობაში, პარტიულ ორგანიზაციაში, მასებში უნდა იმყოფებოდეს, ყურადღებას აქცევდეს ყველაფერს — პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობას, კოლმეურნეთა ყოფაცხოვრებას. ინსტრუქტორის მისვლა კოლმეურნეობაში, პარტიულ ორგანიზაციაში, საწარმოო ბრიგადაში, ფერმაში დადებით შედეგს უნდა იძლეოდეს, ხელს უწყობდეს ნაკლოვანებათა გაბოსწორებას, მდგომარეობის გაუმჯობესებას, ახალი საწარმოო რეზერვების გამოვლინებას, მშრომელთა შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას.

ინსტრუქტორის პირდაპირი მოვალეობაა ადამიანების აღზრდა, მათი დარაზმვა პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად. მისი მომსახურების კოლმეურნეობებში სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას იგი უნდა აღწევდეს პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლებით, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაძლიერებით. ამასთან სამეურნეო ამოცანები ინსტრუქტორმა უნდა გადაწყვიტოს არა კოლმეურნეობის გამგეობისა და თავმჯდომარის გვერდის ავლით, არამედ მათზე დაყრდნობით, მათი მეშვეობით. ინსტრუქტორი მოვალეა ძირეულ კადრებს, კომუნისტებს, კოლმეურნეებს უჩვენოს, თუ რა უნდა გაკეთდეს. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. მთავარია ვასწავლოთ, თუ როგორ უნდა გაკეთდეს, პრაქტიკულად დავეხმაროთ მუშაობაში.

რაიკომის ბევრმა ინსტრუქტორმა ღრმად გაიგო რაიონული პარტიული აპარატის გარდაქმნის დედააზრი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებით მათ წინაშე დასახული ამოცანები და უნარიანად მოაწყო მუშაობა. აღსანიშნავია პარტიის სიღნაღის რაიკომის ინსტრუქტორის წნორის მტს-ის ზონაში ამხ. ი. კაკაშვილის საქმიანობა. მან თავისი მუშაობა დაიწყო ზონაში შემავალი კოლმეურნეობების ეკონომიკის და იქ მომუშავე კადრების შესწავლით. გამოირკვა, რომ მისი მომსახურების ხუთსავე კოლმეურნეობაში წლიურ-წლობით მცირდებოდა საკოლმეურნეო შემოსავალი. ამის მიზეზი ცუდი ხელმძღვანელობა, შრომის არასწორი ორგანიზაცია და დაბალი საწარმოო დისციპლინა იყო. ვაქრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 1953 წელს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი გამომუშავებული არ ჰქონდა შრომისუნარიან კოლმეურნეთა საგრძნობ ნაწილს, ტრიგადირები ხ. გზირიშვილი და გ. ჯანაშვილი უდარდელობას, უპასუხისმგებლობას იჩენდნენ. ინსტრუქტორმა კოლმეურნეობის პარტიულს ურჩია განეხილა შრომის დისციპლინის საკითხი, დაეხმარა პარტიულს მდივანს ღია პარტიული კრების მომზადებაში. მართლაც, კრებამ კომუნისტებისა და უპარტიო კოლმეურნეების მაღალი აქტივობით ჩაიარა. კოლმეურნეებმა გააკრიტიკეს გამგეობა, განაცხადეს — არტელის წევრები გამოყენებული არ არიან თავიანთი უნარის მიხედვითო. კრებამ საქმიანი დადგენილება მიიღო და მეორე დღესვე გაჩაღდა მუშაობა მიღებული დადგენილების განხორციელებისათვის.

ინსტრუქტორმა ამხ. ი. კაკაშვილმა თანდათანობით, მაგრამ მტკიცედ მიაღწია პარტიული ორგანიზაციის როლის გაძლიერებას საკოლმეურნეო წარმოების ყველა უბანზე, უზრუნველყო მდგომარეობის საგრძნობლად გაუმჯობესება როგორც მემინდვრეობაში, ისე მეფუძეობასა და მეცხოველეობაში, შეძლო მასების დარაზმვა და კოლმეურნეობის დაწინაურება სასოფლო-სამეურნეო საქმეებში შესრულებაში. წელს კოლმეურნეობამ მარცვლეული კულტურებისა და ყურძნის უხვი მოსავალი მიიღო, მნიშვნელოვნად გაადიდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ამჟამად ინსტრუქტორი ამხ. კაკაშვილი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მისი ზონის კოლმეურნეობებში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გამოცდილების გადმოტანისა და პრაქტიკულად გამოყენებისათვის.

კარგად მუშაობენ აგრეთვე რაიკომის ინსტრუქტორები თელავის მტს-ის ზონაში ამხ. გ. ხეჩოშვილი, ხაშურის მტს-ის ზონაში ამხ. ვ. ნორაძე, ბადიაურის მტს-ის ზონაში ამხ. გ. ჯავახიშვილი, გალის მტს-ის ზონაში ამხ. მ. ბუტბაია, თეთრი წყაროს მტს-ის ზონაში ამხ. ნ. კუდუკოვი და სხვები. ისინი მუდამ მასებში იმყოფებიან, ეწევიან ცოცხალ მუშაობას ადამიანებთან, კარგად იცნობენ თვითეულ მათგანს, მათ თვისებებსა და უნარს, ესმით მათი სიხარული და გულისტკივილი. გააძლიერეს რა თავიანთი მომსახურების კოლმეურნეობებში პირველადი პარტიული ორგანიზაციის როლი, ამ ინსტრუქტორებმა მოწინავე ადამიანებზე დაყრდნობით შეძლეს კოლმეურნეთა მასების დარაზმვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. მაგრამ რაიკომის ყველა ინსტრუქტორი მტს-ის ზონაში ასე როდი მუშაობს. არიან ისეთი ინსტრუქტორებიც, რომლებმაც თავი ვერ დააღწიეს ხელმძღვანელობის ფორმალურ-ბიუროკრატიულ მეთოდებს, ვერ გაიგეს პარტიული აპარატის გარდაქმნის არსი და კვლავ ძველებურად მუშაობენ.

ხელმძღვანელობის ფორმალურ-ბიუროკრატიული „სტილი“ ახასიათებს მაგალითად რაიკომის ინსტრუქტორებს ახალციხის მტს-ის ზონაში ამხ. ა. მექვაბიშვილს, წალკის მტს-ის ზონაში ამხ. ნიკოლოვს და შირაქის მტს-ის ზონაში ამხ. ვ. თეთრაძეს. ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია ხშირად განიხილავს სამეურნეო საკითხებს, გამოაქვს დადგენილებები, მაგრამ პარტიული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის თავს არავინ იწუხებს. პარტბიუროს მდივანი ამხ. ჯინჭველაძე მნიშვნელობას ანიჭებს არა საქმეს, არამედ ოქმების გაფორმებას, ფიქრობს, თუ შემოწმებაზე მოვლენ, მოვალეობას მოხდილად ჩამითვლიანო. ზონის ინსტრუქტორი ამხ. მექვაბიშვილი ხშირად მიდის ამ კოლმეურნეობაში, თვალს გადაავლებს პარტიული კრებების კარგად გაფორმებულ ოქმებს და კმაყოფილი ბრუნდება უკან. მას შეუმჩნეველი რჩება სერიოზული ნაკლოვანებანი კოლმეურნეობისა და პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში. ამხ. მექვაბიშვილის მიერ საქმისადმი ასეთი ფორმალური დამოკიდებულება ზიანის მომტანი და დასაგმობია. ინსტრუქტორის მოვალეობაა არა ოქმების და ქაღალდების ქექვა, არამედ მასებში ყოველდღიური აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის წარმოება.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა წარმატებით დაამთავრეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. გაჩაღებულია ყურძნის კრეფა, დასასრულს უახლოვდება საშემოდგომო ხვნა-თესვა. რაიკომის ინსტრუქტორების უპირველესი ამოცანაა გააძლიერონ ბრძოლა მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის მტკიცე საფუძვლის ჩასაყრელად, მიაღწიონ იმას, რომ საშემოდგომო კულტურების თესვაში ფართოდ იქნას გამოყენებული აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევები და მემინდვრე-ნოვატორთა მოწინავე გამოცდილება, უზრუნველყონ საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, პირუტყვის გამოზამთრებისათვის კოლმეურნეობების ყოველმხრივ მომზადება.

## ყურძნის ჩაბარების სახელმწიფო გეგმის შესრულება

**ორჯონიკიძის რაიონის** კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 18 ოქტომბრისათვის ყურძნის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა 105 პროცენტით შეასრულეს.

ყურძნის კრეფა-ჩაბარება გრძელდება.

**სიღნაღის რაიონმა** 16 ოქტომბრისათვის 103 პროცენტით შეასრულა სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმა. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 3.605 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.500 ტონისა.

ყურძნის ჩაბარება გრძელდება.

## დეპეშა

# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება გვიბოძეთ მთელი ჩინელი ხალხის სახელით გულითადი მადლობა გიძღვნათ თქვენი მეგობრული ჰოლოცვისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მე-5 წლისთავის გამო.

წარმატებანი, რომლებსაც მიაღწიეს ჩვენი ქვეყნის ხალხებმა განვლილი ხუთი წლის მანძილზე სოციალური გარდაქმნების, სახალხო მეურნეობის აღდგენის, სოციალისტური მშენებლობისა და სოციალისტური გარდაქმნის დარგში, განუყოფელია დიდი საბჭოთა ხალხის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გულწრფელი და უანგარო დახმარებისაგან.

გთხოვთ გადასცეთ მთელ საბჭოთა ხალხს ჩვენი უაღრესად გულწრფელი მადლობა.

გაუმარჯოს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ ძმურ მეგობრობას!

**სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტი.**
**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი.**
**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო.**
**ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.**

1954 წლის 16 ოქტომბერი, პეკინი.

# „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა იტალიელ მღვდელს ანდრეა გაჯეროს

რომი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). 17 ოქტომბერს რომში ხელოვნების მუშაკთა ასოციაციის შენობაში „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლს მღვდელ ანდრეა გაჯეროს.

ანდრეა გაჯეროს.

* * *

ასოციაციის დარბაზში შეიკრიბნენ პროგრესული საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი, სენატორები და დეპუტატები, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეები, მშვიდობის დაცვის კომიტეტების აქტივისტები, რომლებიც იტალიის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოვიდნენ. დამსწრეთა შორის იყვნენ: იტალიის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტის თავმჯდომარე პიეტრო ნენი, პარლამენტის წევრები ემილიო სერანი, ამბროჯო დონინი, ჯოლიანო პაიეტა, ფაუსტო გულო, პროფესორი კონჩეტო მარკეზი, მხატვარი უგო ატარდი და სხვები. დარბაზში იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი იტალიაში ა. ე. ბოგომოლოვი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის წევრმა პროფესორმა კონჩეტო მარკეზიმ ილაპარაკა ანდრეა გაჯეროს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

შემდეგ გამოვიდა პიეტრო ნენი, რომელმაც განაცხადა, რომ პრემიის გადაცემა უნდა მომხდარიყო მოსკოვში, მაგრამ იტალიის მთავრობამ უარი უთხრა გაჯეროს საზღვარგარეთის პასპორტის მიცემაზე. ნენიმ გადაჭრით დაგმო იტალიის ხელისუფალთა ეს მოქმედება.

ნენიმ წაიკითხა საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის 1953 წლის 12 დეკემბრის დადგენილება იმის შესახებ, რომ ანდრეა გაჯეროს მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია, და დამსწრეთა ტაშის გრიალში გადასცა მას საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის დიპლომი და ოქროს მედალი.

ანდრეა გაჯეროომ წარმოთქვა საპასუხო სიტყვა, რომელიც შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს.

— ჩემი ფიქრები, თქვა მან, ახლა მიმართულია საბჭოთა ხალხისადმი, რომელიც ახორციელებს სამართლიანობისა და ძმობის თავის დიად იდეალს და რომელმაც, დაჯილდოვა რა იტალიელი კათოლიკე და მღვდელი, ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ შესაძლებელია დამყარდეს სხვადასხვა ადამიანებსა და ხალხებს შორის ურთიერთგაგების, პატივისცემისა და ძმური გრძნობის უაღრესად მახლობელი ურთიერთობა.

სტალინური პრემია, რომელიც მე მივიღე, ჩემი პირადი ჯილდო როდია. იგი მშვიდობის დასაცავად იმ მთელი ეროვნული მოძრაობის მიღწევათა აღიარებაა, რომელიც იტალიელმა ხალხმა გააჩაღა. ჩემი მოღვაწეობა იმის მაგალითია, თუ რამდენად დიდია ჩვენი ერთიანობა მშვიდობის განმტკიცებისათვის უკეთილშობილურეს მუშაობაში.

# ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი საღამო

18 ოქტომბერს რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში გაიმართა ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების — აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი საღამო, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის მწერლების მეორე ყრილობისათვის მზადებას.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის პირველმა მდივანმა ირაკლი აბაშიძემ. აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მწერალთა შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ბესარიონ ჟღენტმა.

— ამიერკავკასიის ხალხებს, — განაცხადა მომხსენებელმა, — მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებთ ერთმანეთთან. აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ხალხები დიდი რუსი ხალხის მეთაურობით საერთო ძალით იბრძოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ. ასევე შეერთებული ძალებით იბრძოდნენ ისინი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის. ამ ხალხების მონოლითური ერთიანობა და დარაზმულობა ერთხელ კიდევ მთელი სიცხადით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის დროს ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში. აზერბაიჯანელი, ქართველი და სომეხი მშრომელები, ძმურ შეჯიბრებაში ჩაბმულნი, თავდადებულად იბრძვიან კომუნიზმის ასაშენებლად. ამ ბრძოლაში მცირე წვლილი როდი შეაქვთ მწერლებს. თავიანთი შემოქმედებით ისინი აღაფრთოვანებენ მშრომელებს და წინ სწევენ ფორმით ეროვნულ და შინაარსით სოციალისტურ კულტურას.

ბევრი აზერბაიჯანელი, ქართველი და სომეხი მწერლის ნაწარმოები მტკიცედ შევიდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის საგანძურში. საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობას, რომელიც ახლო მომავალში შეიკრიბება, ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მწერლები ახალი შემოქმედებითი მიღწევებით ხვდებიან.

საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს და თავიანთი ახალი ნაწარმოებები წაიკითხეს: სომეხმა მწერლებმა ნაირი ზარიანმა, აკოფ სალახიანმა, სილვა კაპუტიკიანმა, ჰრაჩია ოვანესიანმა, ამაიაკ სირასმა, ვიქტორ ვართანიანმა, გევორქ ემინმა; აზერბაიჯანელმა მწერლებმა მამედ რაგიმმა, მირვარდი დილბაზიმ, ნაბი ბაბაევმა, ნიგიარ რაფიბეილმა, ბახთიარ ვაჰაბზადემ, ოსმან სარიველიმ, რასულ რზამ; ქართველმა მწერლებმა გალაკტიონ ტაბიძემ, ალიო მირცხულავამ, სიმონ ჩიქოვანმა, კარლო კალაძემ, გრიგოლ აბაშიძემ, მარიკა ბარათაშვილმა, რევაზ მარგიანმა, ხუტა ბერულავამ.

საღამოში მონაწილეობა მიიღო ცნობილმა პროგრესულმა თურქმა მწერალმა მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატმა ნაზიმ ჰიქმეთმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს საბჭოთა მწერლების შეხვედრა ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა.

19 ოქტომბერს სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქ თბილისის ღირსშესანიშნაობანი. მწერლებს შეხვედრა მოუწყეს თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

აზერბაიჯანელმა და სომეხმა მწერლებმა ქართველ მწერლებთან ერთად ინახულეს და ცოცხალი ყვავილებით შეაჭიეს ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის დიდი მომღერლის საიათნოვას საფლავი.

## საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

### ცისფერნები მფს-ებისათვის

თბილისის ლითონის კონსტრუქციების ქარხნის კოლექტივმა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრა წლიური გეგმის ვადამდე შესრულება, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო პროდუქციის გამოშვების მკვეთრად გადიდება.

ნაკისრ ვალდებულებას ლითონკონსტრუქციათა ოსტატები პირნათლად ანალდებენ — მათ 138 პროცენტით შეასრულეს სექტემბრის გეგმა. საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება 16 ოქტომბერს გაანალდეს. ახლა ქარხნის კოლექტივი მუშაობს 1955 წლის ანგარიშში და პროდუქციას იძლევა წლიური გეგმის გადამეტებით. მარტო სექტემბერში ქარხნის კოლექტივმა ჩვენი რესპუბლიკის მტს-ებს, უამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონების მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს უაზახეთში, ალტაის მხარეში, აგრეთვე ცენტრალური რუსეთის ზოგიერთ რაიონში გაუგზავნა 350-ზე მეტი 3 კუბმეტრის მოცულობის ცისტერნი. 7 ნოემბრისათვის მათთვისვე გასაგზავნად ამზადებენ კიდევ 500 ასეთ ცისტერნს.

საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მაღალნაყოფიერი შრომით ისახელეს თავი ამწყობებმა ა. ყიფიანმა და ა. ვიბორნოვმა, ელექტროშემდუღებლებმა გ. ეტიმოვმა, ნ. ტოტოსაშვილმა, კ. ნაგლაძემ, მჭედელმა პ. ჭარბაძემ.

### 11 თვის გეგმა 7 ნოემბრისათვის

თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის კოლექტივს წელს შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გაუდიდდა საწარმოო გეგმა. გადიდებული გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად მთელ რიგ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებმა საყურადღებო წარმატებებს მიაღწიეს — გაუმჯობესეს ცალკეული კვანძებისა და დეტალების დამუშავების ტექნოლოგია, შეამცირეს ჩარხის კვანძთა რაოდენობა და ამით მიაღწიეს მის გამარტივებას, შრომატევადობის შემცირებას. ამასთან გაუმჯობესეს ლითონსხმულის ხარისხი, საგრძნობლად შეამცირეს წუნი, 277 კაც-საათით შეამცირეს თვითეული ჩარხის წარმოებისა და აწყობის ციკლი. ყოველივე ამის შედეგად ქარხნის კოლექტივმა ცხრა თვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად, 50 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება, 30 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცა დიდძალი პროდუქცია.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში ქარხნის კოლექტივი იბრძვის 7 ნოემბრისათვის 11 თვის პროგრამის შესასრულებლად, თვითეული ჩარხის თვითღირებულების 7 ათასი მანეთით შესამცირებლად და ზეგეგმითი დაგროვების გასადიდებლად.

მოწინავე ბრიგადები და ცალკე სტახანოველები შრომითი თავდადების იშვიათ ნიმუშებს იძლევიან — ყოველდღიურ დავალებებს 200-300 პროცენტით ასრულებენ. დაწინაურებულთა შორის არიან ლითონმსხმელები — ს. ბალიაშვილი, დ. ბაკაშვილი, ხარატები — ი. გორბაჩოვი, შ. კრაწაშვილი, ვ. ვოლკოვი, ზეინკლები — ს. ახვერდოვი, შ. ალექსანიანი, ა. კაკაბაძე, მჭედელი მ. ყველაშვილი.

### მეტი საბავშვო ფეხსაცმლის გამოსაშვებად

თბილისის მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის კოლექტივმა პირველი ოქტომბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 13 ათასი წყვილი სხვადასხვა ასორტიმენტის სბავშვო ფეხსაცმელი, 6,4 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება, საგრძნობლად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და სამშობლოს 407 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მისცა.

იმავე 9 თვის განმავლობაში ფაბრიკაში გასწიეს 135 ათასი კვადრატული დეციმეტრი საზედაპირე და 112 ათასი კვადრატული დეციმეტრი საძირე ტყავის ეკონომია, ხოლო დაზოგილი მასალებით შეკერეს 10 ათასი წყვილი საბავშვო ფეხსაცმელი.

ფაბრიკის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს წლიური გეგმა შეასრულოს 15 დეკემბრისათვის, წლის ბოლომდე ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცეს 26 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

ოქტომბრის დასაწყისიდანვე ფაბრიკაში შესამჩნევად გაძლიერდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავისათვის მზადება და შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე განადგურებისათვის ბრძოლა. საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ ფეხსაცმლის საზედაპირეს საამქროს ის ბრიგადები, რომლებსაც ზ. დემურია და ვ. მურალოვი ხელმძღვანელობენ. სანდალეტის შემკერავ საამქროში დაწინაურდა გ. ტაბიძის ბრიგადა. საზედაპირეს გამომჭრელთა შორის კარგ წარმატებას აღწევენ ს. ალაჯიძე, ნ. მესტვირიშვილი, გ. ბაბლუმოვი, ე. ლაკისევა და საძირეს გამომჭრელი ბ. ლომაზოვი.

## სოხუმის საქალაქო პარტიული აქტივის კრება

ამ დღეებში გაიმართა სოხუმის საქალაქო პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საკითხი სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდის მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებების და ქალაქის მოსახლეობაში ჯანსაღი ყოფაცხოვრების პროპაგანდის გაუმჯობესების შესახებ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ჩიქოვანმა.

აღინიშნა, რომ სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდის მკვეთრად შესუსტების შედეგად ქალაქში გაჩნდა რელიგიური წესების შესრულების შემთხვევები. პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები სუსტად ეწევიან ანტირელიგიურ პროპაგანდას. პარტიის საქალაქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის წევრები იშვიათად კითხულობენ სამეცნიერო-ათეისტური ხასიათის ლექციებს, ამ მხრივ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს აგრეთვე სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების აფხაზეთის განყოფილება, აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტრო და სხვ.

კრებაზე მოყვანილ იქნა შრომისადმი არასოციალისტური დამოკიდებულების, შრომის დისციპლინის დარღვევის, გაცდენის, წუნმეკეთებლობის მაგალითები, რომლებსაც ვხვდებით თამბაქოს ფაბრიკაში, პერის ქარხანაში, აფხაზეთის ავტოსატრანსპორტო კანტორაში.

ამასთან კრებაზე დასახელებულ იქნა ისეთი მახინჯი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების ფაქტები, როგორიც არის ლოთობა, ხულიგნობა, რომლებიც ლახავენ საზოგადოებისა და ოჯახის ინტერესებს, ჩირქსა სცხებენ საბჭოთა ადამიანის ღირსებას.

იმის გამო, რომ მოსწავლე ახალგაზრდობაში მოისესტებს აღმზრდელობითი მუშაობა, მოხულიგნო ელემენტები გვხვდებიან პედაგოგიური ინსტიტუტის, ინდუსტრიული და სუბტროპიკული ტექნიკუმების სტუდენტთა და მოსწავლეთა შორის.

პარტიული აქტივის კრების მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. გეგეშიძემ.

განხილული საკითხზე აქტივის კრებამ მიიღო სათანადო დადგენილება. (საკ. კორ.).

## ქარხნის პარტიულ-სამეურნეო მუშაკთა თათბირი

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა მოიწვია პარტიულ-სამეურნეო მუშაკთა თათბირი.

თათბირზე მოხსენება თემაზე „მაღალხარისხოვნად შეასრულოთ მიმდინარე სამეურნეო თვის ამოცანები, ღირსეულად შეეხვედეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXVII წლისთავს“ გააკეთა ქარხნის უფროსმა გ. მაცაბერიძემ.

სიტყვები წარმოთქვეს და თავიანთი წინადადებანი წამოაყენეს იზოთერმული ვაგონების შემკეთებელი შემკეთებელი საამქროს უფროსმა ამხ. ნ. მურადაშვილმა, სამგზავრო ვაგონების შემკეთებელი საამქროს უფროსმა ი. გაჟელიშვილმა, საგზგმო განყოფილების უფროსმა ი. კაკიტელაშვილმა, პარტკომის მდივანმა ვ. ნინოშვილმა და სხვ.

აღინიშნა, რომ მთელმა რიგმა საამქროებმა, როგორც არის ამწყობი, სამგზავრო-სავაგონო, იზოთერმული საამქროები, გასულ თვეში ცუდად იმუშავეს. სისტემატურად ირღვეოდა საღღელამისო გრაფიკი, საამქროები დროზე არ მარაგდებოდა რემონტისათვის საჭირო მასალებით, იყო შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები და სხვ.

თათბირმა დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. სეხნიაშვილმა.

## რაიონულ გამოფენაზე





ამ დღეებში თელავის რაიონის კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნა რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. გამოფენის სტენდებზე ფართოდ ნაჩვენები იყო მემინდვრეობის, მევენახეობის, მეცხოველეობის, მეაბრეშუმეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების წარმატებანი. ნაჩვენები იყო აგრეთვე მოწინავე კოლმეურნეობათა ექსპონატები. მეცხოველეობის პავილიონში ყურადღებას იპყრობდა სოფელ შალაურის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის ღორი „ნესვა“, რომელმაც ერთი წლის მანძილზე მოგვცა 23 გოჭი. ნამატი მთლიანად შენარჩუნებულია. აქვე იყო სოფელ რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავის“ ფერმის 4 წლის ღორი, რომელიც 430 კილოგრამს იწონის. გამოფენაზე მტს-მა აჩვენა თანამედროვე მძლავრი მანქანები. სურათებზე: მარჯვნივ—წინა პლანზე სოფელ რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავის“ ღორი „კობტა“, ზევით სოფელ შალაურის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გოჭები. მარცხნივ — საქსოფლენერგოს თელავის საექსპლოატაციო განყოფილების მიერ წარმოდგენილი ხორბლის საწმენდი ელევატორი.

ფოტო შ. გოჭაძისა.

## მეცხოველეთა ზრომითი საქმეები

ვრცელი მინდვრები, მაღალხარისხოვანი ბალახით მდიდარი საძოვრები, სუფთა წყალი და ჰავის ნორმალური პირობები დიდად უწყობენ ხელს ახალქალაქის რაიონის სოფელ ოკამის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში მეცხენეობის განვითარებას. ამ შესაძლებლობებს აქ კარგად იყენებენ. 14 წელია, რაც კოლმეურნეობაში ჯიშიან ცხენებს აშენებენ და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ. მეცხენეობის ფერმა კოლმეურნეობის შემოსავლის მძლავრი წყარო გახდა.

ამჟამად ფერმაში ჰყავთ 80 სული ჯიშიანი ცხენი, მეტწილად ფაშატები. ფერმას ჰყავს სუფთასისხლიანი ყაბარდოული ულაყი-მწარმოებელი, მიმდინარე და წარსული წლების მრავალი ათეული სული ნამატი.

ყაბარდოული ცხენი ჩვენში გავრცელებული ჯიშებიდან თითქმის ყველაზე ტანადია, უმთავრესად საჯდომი ტიპისაა. მას ახასიათებს დიდი ამტანობა, მოქნილობა. კარგად ეხერხება მაღალი მთების ბილიკებზე სიარული. მისი მოშენება შეიძლება როგორც ჯოგურ, ისე სტაციონარულ პირობებში.

ყოველივე ეს თავიდანვე კარგად გაითვალისწინა კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. მურჯიკელი). აქ ფართოდ მოაწყეს საჯიშე მუშაობა, გაუმჯობესეს პირუტყვის მოვლა-პატრონობა. ფერმაში განუწყვეტლივ იზრდება პირუტყვის სულადობა, უმჯობესდება ჯიშიანობა. მეცხენეობის ფერმა კოლმეურნეობის სიამაყე გახდა. გასულ წელს ფერმას გეგმით 13 კვიცი უნდა მეეღო, ფაქტიურად 23 კვიცი მიიღო და მთლიანად გამოზარდა. ასეთივე კარგი მდგომარეობაა წელსაც. კვიცების მიღება-გაზრდის დავალება ერთიორად არის შესრულებული. როგორც წარსულში, ისე ამჟამადაც მიღებული ნამატი მთლიანად შენარჩუნებული და გამოზრდილია.

როგორ მიაღწიეს ასეთ წარმატებებს, რა ღონისძიებებს ახორციელებენ აქ მეცხოველეობის ამ დარგის აღმავლობისათვის? უწინარეს ყოვლისა, კოლმეურნეობამ სწორად შეარჩია კადრები. უფროს მეჯინიბედ და ფერმის გამგედ დიდი სამამულო ომის მონაწილე, თავისი საქმის მცოდნე, ენერგიული მუშაკი ზურაბ ალელიშვილი დაარწმუნეს. მას დამხმარეებად გამოუყვეს მოწინავე მეჯოგეები — მწყემსები ს. ნადირაძე და მ. მაისურაძე. ზამთრის პერიოდში პირუტყვს უვლიან შრომისმოყვარე კომკავშირელი ენთუზიასტები ანეტა და ილია ალელიშვილები.

პირუტყვის მთელი სულადობა წლის ერთ ნახევარს მთაში საძოვარზე ატარებს, მეორე ნახევარს კი, ე. ი. 1 ოქტომბრიდან 1 აპრილამდე, ბაგურ პირობებში. ფერმაში ყველა ცხენს მიკუთვნებული აქვს თავისი ნომერი, საბელი. წიგნებში აღნიშნულია აგრეთვე მათი წლოვანება, ნაყოფიერება. დაზუსტებულია, თუ რა დროს რა საკვები და რა რაოდენობით აძლიონ. პირუტყვს თავისი ხნოვანების, მაკეობის, კვიციანობისა და სხვა ნიშნების მიხედვით ყოველთვის საკმაოდ ეძლევა უხეში და კონცენტრირებული საკვები.

ულაყი-მწარმოებელი ფერმაში მუდამ დაბმულია და გასასეირნებლად, წყლის დასალევინებლად დღეში დაახლოებით ოთხჯერ გამოჰყავთ, მაგალითად, დილის 5-6 საათზე, დღის 12 საათზე, ნაშუადღევის 4 საათსა და საღამოს 7 საათზე. ახლა ფერმას ძირითადად ერთი სუფთასისხლიანი ულაყი-მწარმოებელი უწევს მომსახურება. მოშენებულია აგრეთვე 3 სული საუკეთესო ულაყი-მწარმოებელი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოგების დროს დედაპირუტყვის დახმარებას, ცურის მობანას, სისუფთავის დაცვას.

პირველ 3 დღეს კვიცებს ნორმით ყვებავენ, ცდილობენ ზედმეტი რძის მიღებით არ დააავადონ. შემდეგ დღეებში ნებაზე არიან მიშვებული და სურვილისამებრ იკვებებიან. თუ ქარი და წვიმა არ არის, ისინი ხშირად გამოჰყავთ ჰაერზე.

ასე მუშაობენ ოკამელი კოლმეურნეები მეცხენეობის შემდგომი განვითარებისათვის.

**აგრონომი ტ. თოდრაძე.**

## სარეწაო კოოპერაცია უნდა მუშაობდეს ნაყოფიერად

სარეწაო კოოპერაციის მუშაკებს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დაუსახეს პასუხსაგები ამოცანა — მკვეთრად გაადიდონ სახალხო მოხმარების საგნების წარმოება და გაუმჯობესონ საქონლის ხარისხი.

როგორ იბრძვიან ამ ამოცანის შესასრულებლად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის მუშაკები? უნდა ითქვას, რომ არადამაკმაყოფილებლად. სარეწაო საბჭომ ვერ გარდაქმნა მუშაობა ახალ ამოცანათა მესაბამისად. სარეწაო კოოპერაციის საწარმოები არასაკმაო რაოდენობით ამზადებენ სახალხო მოხმარების საგნებს. ამიტომ საქართველოს სარეწაო კოოპერაციის სავაჭრო ქსელში ძლიერ დაბალია საკუთარი ნაწარმის ხვედრითი წონა. სარეწაო კოოპერაციის სავაჭროები ხშირად სხვა არტელების მიერ გამოშვებული საქონლის რეალიზაციას ეწევიან, ზოგჯერ საქონელი სხვა რაიონებიდან და ქალაქებიდანაც კი შემოაქვთ. მაგალითად, აფხაზეთის სარეწაო კოოპერაციის არტელ „ავანგარდს“ 1953 წლის საქონელბრუნვის გეგმა 2.127 ათასი მანეთი ჰქონდა, მიმდინარე წლის პირველი ნახევრისა კი — 1.263 ათასი მანეთი. არტელმა გასულ წელს სავაჭრო ქსელს სარეალიზაციოდ გადასცა საკუთარი წარმოების მხოლოდ 141,1 ათასი მანეთის, ხოლო წელს — 94,4 ათასი მანეთის საქონელი.

იმის გამო, რომ სარეწაო კოოპერაციის საწარმოები საჭირო რაოდენობით ვერ უზრუნველყოფენ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებას, არ სრულდება სახელმწიფო და სხვა კოოპერაციული სავაჭრო ორგანიზაციებისათვის საქონლის ჩაბარების გეგმები. გასულ წელს სარეწაო კოოპერაციამ სავაჭრო ორგანიზაციებს დააკლო 117,4 ტონა საკონდიტრო ნაწარმი, 68,1 ტონა ლუსტრსმანი, 19,3 ათასი წყვილი ფეხსაცმელი, 2.336,9 ათასი მანეთის ავეჯი. იგივე მეორდება წელსაც.

სარეწაო კოოპერაცია აწარმოებს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვას. მართალია, პროდუქტების შესყიდვის მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია 160,7 პროცენტით, მაგრამ ამ ციფრობრივი მაჩვენებლების უკან სერიოზული ნაკლოვანებანი იმალება. ბოსტნეულის შესყიდვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 32,9 პროცენტით, რძისა და რძის პროდუქტებისა — 51 პროცენტით, ხოლო ღვინისა — 241,3 პროცენტით. როგორც ეს ციფრები ადასტურებენ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის გეგმის შესრულება ხდება ადგილობრივ ბაზრებზე გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე, რაც უმართებულია.

ხშირია შემთხვევები, როდესაც სარეწაო კოოპერაციის სავაჭრო ქსელში სარეალიზაციოდ გამოაქვთ როგორც საკუთარი, ისე ადგილობრივი მრეწველობის მიერ გამოშვებული წუნდებული საქონელი. მაგალითად, აგვისტოში აჭარის სარეწაო კოოპერაციის არტელ „ავანგარდის“ ფარდულში 69 წყვილი ქალის ფეხსაცმლიდან ძლიერ დაბალი ხარისხისა აღმოჩნდა 30 წყვილი.

სარეწაო კოოპერაციის სისტემის მაღაზიებში არის ფასების დამახინჯების ფაქტებიც. ამას წინათ არტელ „ინდუსტრიის“ № 2 მაღაზიაში 62 მან. და 15 კაპ. ღირებული ხელოვნური აბრეშუმის ზედა პერანგი 66 მან. და 25 კაპ. იყიდებოდა, ხოლო არტელების „კომუნის“, „გმირისა“ და „ელექტრომეტალის“ მაღაზიებში ღუმელი „ჩუდო“ (არტიკული 461), რომლის ფასია 53 მან. და 50 კაპიკი, იყიდებოდა 57 მანეთად. ზოგჯერ მაღაზიებში შეაქვთ უფაქტურო საქონელი. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი კოოპერაციული ქონების გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები. ამასთანავე ,დანაკლისისა და გაფლანგვა-დატაცების ნამთის შემცირება ხდება არა ამოღების, არამედ ამ თანხის ჩამოწერის გზით.

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭომ და მისმა გამგეობამ უნდა გაითვალისწინონ არსებული ნაკლოვანებანი და იბრძოლონ მათი უმოკლეს დროში გამოსწორებისათვის; საჭიროა მათ თავიანთი სისტემის საწარმოებში შეწყვიტონ ისეთი საქონლის წარმოება, რაზეც მოთხოვნილება არ არის, უზრუნველყონ პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება და მისი ხარისხის გაუმჯობესება, მიაღწიონ ფართო მოხმარების საქონლის დამამზადებელ საწარმოთა უფრო სწორ განლაგებას რაიონებში, რაც ხელს შეუწყობს შორი და შემხვედრი ტვირთზიდვის შემცირებას და მოსახლეობის მოთხოვნილების უკეთესად დაკმაყოფილებას ადგილობრივი წარმოების პროდუქციით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სავაჭრო ქსელის კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეს.

სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა მიერ გამოშვებული საქონელი როგორც ხარისხის, ისე რაოდენობის მხრივ აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას.

**ს. ცირეკიძე,**
**საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს უფროსი კონტროლიორი.**

## გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

კურორტ ბეშუმში დამსვენებელთა მომსახურების საკითხისადმი სათანადო ორგანოების არასაკმაო ყურადღების შესახებ სწერდა რედაქციას ხულოდან გაზეთის მკითხველი ზ. ცეცხლაძე.

წერილი სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნა აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რომელიც გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. შესრულდა მთელი რიგი სამუშაოები დამსვენებელთა მომსახურების გასაუმჯობესებლად. უსაგზურო დამსვენებლებისათვის მოეწყო ახალი სასადილო, განხორციელდა ღონისძიებანი კურორტზე მტკიცე სანიტარული წესრიგის დასამყარებლად, სანატორიუმის ბიბლიოთეკა ახალი ლიტერატურით შეივსო.

ზემდგომი ორგანოების წინაშე დასმულია საკითხი მომავალ წელს კურორტის განათების უზრუნველსაყოფად და კეთილმოსაწყობად თანხების გამოყოფის შესახებ.

## მეტი ყურადღება ასპირანტების მომზადებას

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ სამეცნიერო კადრების მომზადებას. ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ათასობით იზრდებიან მაღალკვალიფიციური მეცნიერი მუშაკები, რომლებიც იგზავნებიან სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში. პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიმდინარე ხუთწლედში სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ასპირანტურის მეშვეობით წინა ხუთწლედთან შედარებით დაახლოებით ერთიორად გაიზრდება. ყრილობის ეს დადგენილება ავალებს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ხელმძღვანელებს სისტემატურად აამაღლონ ასპირანტების მომზადების დონე.

უკანასკნელად ჩვენს რესპუბლიკაში ასპირანტთა მომზადების საქმე რამდენადმე გაუმჯობესდა, ამაღლდა მუშაობის ხარისხი, მეტი ყურადღება მიექცა ასპირანტების მიერ ინდივიდუალური გეგმების შესრულებას. უფრო მომთხოვნი გახდნენ სამეცნიერო საბჭოები. ამის შედეგად წინა წლებთან შედარებით ასპირანტების მეტი ნაწილი დროულად წერს სადისერტაციო შრომას. მაგალითად, გასულ წელს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის ასპირანტმა ლ. ხატიაშვილმა გეგმით გათვალისწინებული ყველა საგანი დროზე ჩააბარა და სადისერტაციო ნაშრომი 7 თვით ადრე წარადგინა. საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის ასპირანტურა წელს ნოემბერში უნდა დაემთავრებინა დ. ძნელაძეს. მან ბეჯითი მუშაობის შედეგად დისერტაცია სექტემბერში დაიცვა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ოთხ წარჩინებულ ასპირანტს შ. ჩიჩუას, ვ. ჯაფიაშვილს, გ. ჩიმაკაძეს და ზ. კახიანს მიენიჭათ სტალინის სახელობის სტიპენდია. კიროვის სახელობის საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტმა ი. მათიკაშვილმა გამოიგონა ავტომანქანის ხელსაწყო „რეჟიმოგრაფი“, რომელიც მისი სადისერტაციო თემის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. ამ ხელსაწყოს ახლო ხანში სერიულად გამოუშვებს გორკის მოლოტოვის სახელობის ავტოქარხანა.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეორე კურსის 9 ასპირანტი საჭირო ცოდნის შესაძენად გაიგზავნა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

მიუხედავად ამისა, მეცნიერთა ახალი კადრების აღზრდის საქმეს ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ანლავს ნაკლოვანებანი.

ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდის საქმეში მთავარი ნაკლი ის არის, რომ ასპირანტთა უმრავლესობა დადგენილ ვადაში ვერ იცავს დისერტაციას. საქართველოს კიროვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურა შარშან დაამთავრა 13 კაცმა, მაგრამ მათგან დისერტაცია დღეისათვის მხოლოდ ერთმა დაიცვა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და სამეცნიერო დაწესებულებების ასპირანტურა 1953 წელს დაამთავრა 40 კაცმა, ხოლო დისერტაცია ვადაზე წარმოადგინა მხოლოდ თხუთმეტმა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 92 ასპირანტურადამთავრებულიდან დღეისათვის დისერტაცია დაცული აქვს 49-ს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ასპირანტურა 1944-1953 წლებში დაამთავრა 33 კაცმა, რომელთაგან დღეისათვის საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა მხოლოდ 11 კაცმა. ასეთივე მაგალითები გვხვდება სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც.

ამ სერიოზულ ნაკლოვანებათა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის, რომ ზოგიერთი მეცნიერი ხელმძღვანელი მთელი შესაძლებლობით არ ეხმარება თავის ასპირანტს მეცნიერული მუშაობის ჩვევების გამომუშავებაში.

ასპირანტებთან მუშაობაში ნაკლოვანებების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია აგრეთვე ის, რომ უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ასპირანტურაში მისაღები კონტინგენტის შერჩევას. ასპირანტურაში იღებენ ისეთ პირებსაც, რომლებსაც სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი არა აქვთ და სამუშაოს თავს ვერ ართმევენ. ზოგჯერ სამეცნიერო მუშაობისადმი ასპირანტების ზერელე დამოკიდებულებას სწავლის უკანასკნელ წლებამდე იომენენ და ასპირანტს მესამე კურსიდან რიცხავენ.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ასპირანტები თავიანთ შესაძლებლობას მაქსიმალურად არ იყენებენ და ინდივიდუალურ გეგმებს არ ასრულებენ. სწორედ ამის შედეგია, რომ 1953 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტურის მესამე კურსიდან გაირიცხა რ. გედევანიშვილი. ინდივიდუალური გეგმების შესრულებაში დიდი ჩამორჩენა აქვთ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენისა და ალგებრა-გეომეტრიის კათედრების მეორე კურსის ასპირანტებს თ. ბახტაძესა და ნ. ვარშამოვს.

არის შემთხვევები, როცა მისაღებ გამოცდებზე ლიბერალურად აფასებენ ასპირანტურაში შემსვლელის ცოდნას. უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელი მუშაკები ზოგჯერ სწორად ვერ არჩევენ ასპირანტების კანდიდატურებს, კონკურსის დროს იჩენენ შეუწყნარებელ ლიბერალიზმს. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში 1952 წელს გამოცდებზე სპეციალურ დისციპლინებში შეფასება „ფრიადი“ და „კარგი“ მიიღეს იმ პირებმა, რომლებმაც რამდენიმე კვირის წინათ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში კონკურსზე იმავე საგნებში მეტად დაბალი მომზადება გამოავლინეს.

ასპირანტთა შემდგომი მუშაობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სადისერტაციო თემის სწორად შერჩევას. არის ფაქტები, როცა ასპირანტი გარკვეული დროის მანძილზე მუშაობს სადისერტაციო თემაზე, მაგრამ სწავლების უკანასკნელ წელს ირკვევა თემის უვარგისობა და ასპირანტი იძულებულია სრულიად ახალ თემას მოჰკიდოს ხელი. ხშირად ამ მიზეზის გამო მეცნიერი მუშაკი ასპირანტურის დამთავრებისთანავე ვერ იცავს დისერტაციას.

ზოგჯერ ასპირანტს დისერტაციის თემას ფორმალურად უმტკიცებენ და მას ყოველმხრივად არ განიხილავენ. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის კათედრის ასპირანტი თ. კერესელიძე მუშაობდა სადისერტაციო თემაზე „ექსპერიმენტული სოდოკუს მიკრობიოლოგია“. ასპირანტმა ამ თემაზე იმუშავა წელიწადნახევარი, გააკეთა 80-მდე ექსპერიმენტი, მაგრამ აღნიშნული მიკრობი ბუნებრივ პირობებში არ აღმოჩნდა და მესამე წელს თემა შეეცვალა. ასევე სწავლების მესამე წელს შეეცვალა თემა ამავე ინსტიტუტის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის კათედრის ასპირანტს ლ. თურქიაშვილს.

ზოგჯერ თემის შეცვლასთან ერთად ასპირანტს ეცვლება მეცნიერი ხელმძღვანელი, რაც ასპირანტის მუშაობაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელის ფორმალური დამოკიდებულება ასპირანტების მუშაობისადმი იმითაც გამოიხატება, რომ ასპირანტებისათვის ატესტაციის შედგენისას გულისხმიერებას არ იჩენენ. არის შემთხვევები, როცა ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილი ატესტაცია ზერელედ არის შედგენილი. იგი ასპირანტის საზოგადოებრივი მუშაობის შეფასებას უფრო წარმოადგენს, ვიდრე სამეცნიერო მუშაობის დახასიათებას წლის განმავლობაში. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის 6 ასპირანტის 1953 წლის ატესტაციაში სრულიად არ იყო მნიშვნელოვანი მასალები მათი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ასპირანტის რ. მაისურაძის (ხელმძღვანელი დოც. ს. ფურცელაძე) 1954 წლის ატესტაციაში არცერთ კითხვაზე პასუხი არ არის გაცემული. ხერელედ არის შედგენილი აგრეთვე პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტთა ზოგიერთი ატესტაცია.

ასპირანტის ნაყოფიერი მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ექსპერიმენტალური ბაზის არსებობას ადგილზე, რაც შესაძლებლობას მისცემს ასპირანტებს სასწავლებლებისაგან მოუწყვეტლივ აწარმოონ საცდელი კვლევითი მუშაობა. ექსპერიმენტალური ბაზის ნაკლებობას განიცდიან კიროვის სახელობის საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტები. საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტებს არ ყოფნით ლაბორატორიები და კაბინეტები სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის.

უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაუსწრებელ განყოფილებაში მყოფ ასპირანტებთან მუშაობის საკითხსაც.

სამეცნიერო კადრების მომზადება და აღზრდა უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს. პარტიულმა ორგანიზაციებმა დროულად უნდა აღმოუჩინონ დახმარება თვითეულ ასპირანტს, შეამოწმონ მათი ინდივიდუალური სამეცნიერო გეგმები, სისტემატურად მოისმინონ და განიხილონ ასპირანტებისა და მათი ხელმძღვანელების ანგარიშები, თვალყური ადევნონ ასპირანტთა საერთო მომზადების ჰორიზონტის გაფართოებას. სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაცია ჯეროვან დახმარებას არ უწევს სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეს.

ეს ითქმის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების პარტიული ორგანიზაციების შესახებ.

მისასალმებელია, რომ ახალგაზრდა მეცნიერებთან მუშაობის საკითხი სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის VII კონფერენციაზე, რომელმაც კონკრეტული ღონისძიებანი დასახა ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდის გასაუმჯობესებლად. კონფერენციის შემდეგ უნივერსიტეტის პარტიულმა ორგანიზაციამ სათანადო მუშაობა გასწია და ამის შედეგიცაა, რომ წელს უნივერსიტეტში ასპირანტებთან მუშაობა ერთგვარად გაუმჯობესდა.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის ბევრ უმაღლეს სასწავლებელში დამთავრდა ასპირანტურაში მიღება და მალე დაიწყება მეცადინეობა. სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელების ამოცანაა ასპირანტურაში ახალი სასწავლო წლის სწორად წარმართვა.

უმაღლესი სასწავლებლებისათვის პედაგოგიური კადრების მომზადება უაღრესად სერიოზული და პასუხსაგები საქმეა. მას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ახლა, როცა უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების წინაშე ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკების მომზადების ხარისხის შემდგომი აღმავლობის გადაუდებელი ამოცანა დგას.

უმაღლესი სასწავლებლების კათედრებმა, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მთელი თავიანთი მუშაობა უნდა წარმართონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში დასახული ამოცანების განსახორციელებლად.

**ბ. თათარიშვილი,**
**ჯ. ჭანტურაია.**

# წერილები რედაქციას

## საჭიროა კადრები საშენ მასალათა მრეწველობისათვის

საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობის, ჩვენი ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონის შემდგომი ამაღლების ამოცანა მოითხოვს კაპიტალური მშენებლობის სწრაფ განვითარებას, რისთვისაც აუცილებელია საშენ მასალათა მრეწველობის — სილიკატური წარმოების ფართო განვითარება. საამისოდ საქართველოში ყველა შესაძლებლობა არსებობს. ჩვენში მოიპოვება ამ დარგის ძირითადი სახეების — ცემენტის, კერამიკის, მინის წარმოების შემდგომი განვითარების აუცილებელი ბაზა — სათანადო ხარისხის საჭირო ნედლეული.

სილიკატური საწარმოებისათვის საჭირო ადგილობრივი ნედლეულის ქიმიურ-ტექნოლოგიური თვისებები ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი. ამ მიმართულებით ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სილიკატების ტექნოლოგიის კათედრა პროფ. კ. ქუთათელაძის ხელმძღვანელობით. შესწავლილ იქნა შამოტის ცეცხლგამძლე მასალის მისაღებად ძირულის და შახ-ნაზარის ცეცხლგამძლე თიხა, ტყიბულის ფიქალი; დინასის წარმოებისათვის — აჯამეთის ქალცედონი, დილიკაურის და მარელასის კვარცი და კვარციტები; აგურ-კრამიტის წარმოებისათვის 20-ზე მეტი სახადოს თიხა; ცემენტის წარმოებაში ბაჯის გამოყენების საკითხი და სხვ. მაგრამ ეს საკმარისი არ არის, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ საშენ მასალებზე უდიდეს მოთხოვნილებას და სილიკატურ საწარმოებში ნედლეულის ახალი სახეების დანერგვის აუცილებლობას.

ცხადია, ნედლეულის ახალი სახის ათვისება, მისი წარმოებაში დანერგვა, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება, ახალი მოწინავე ტექნიკის სრული სიმძლავრით გამოყენება კადრის სპეციალისტების უნარზეა დამოკიდებული.

საქართველოს სილიკატური ქარხნების, კერძოდ კერამიკული ქარხნების ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ სპეციალისტთა კადრების სიმცირეა.

საშენ მასალათა ქარხნებში ცვლების, საამქროებისა და საწარმოთა ხელმძღვანელებადაც კი მეტწილად არასპეციალისტები ან სხვა დარგის სპეციალისტები მუშაობენ.

ამიერკავკასიის ინსტიტუტებს შორის კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ჯერჯერობით ერთადერთი ინსტიტუტია, რომელიც სილიკატური მრეწველობისათვის უმაღლესი განათლების სპეციალისტებს ამზადებს.

განსაკუთრებით მწავალედ დგას საკითხი საშუალო განათლების მქონე სპეციალისტების მომზადების მხრივ. საქართველოს რამდენიმე ათეული სხვადასხვა დარგის სპეციალური ტექნიკუმიდან არც ერთი არ ამზადებს ამ განხრის ტექნიკოსებს. საკვირველია, რომ 20 წლის წინათ, როდესაც სილიკატურ მრეწველობას საქართველოში მხოლოდ ორიოდე მცირე, არამექანიზებული ქარხანა ჰქონდა, თბილისში არსებობდა სპეციალური ქიმიურ-ტექნოლოგიური ტექნიკუმი, დღეს კი, როდესაც სილიკატური მრეწველობა საქართველოში გაიზარდა და ახლო მომავალში კიდევ უფრო მეტი ზრდის პერსპექტივა აქვს, ამ დარგის არც ერთი სპეციალური ტექნიკუმი არა გვაქვს.

საშუალო განათლების სპეციალისტების მომზადება საჭირო და აუცილებელია არა მარტო მრეწველობისათვის, არამედ ჩვენი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისთვისაც, სადაც ლაბორანტებად, უმცროს ლაბორანტებად და დამხმარე თანამდებობებზე არასპეციალისტები მუშაობენ.

საჭიროა უახლოეს ხანში სილიკატური საწარმოებისათვის ტექნიკოსების მოსამზადებლად გაიხსნას სპეციალური ტექნიკუმი ან ქიმიურ-ტექნოლოგიური ტექნიკუმი, რომელიც აღნიშნული სპეციალობის ტექნიკოსებს გარდა გამოუშვებს ქიმიკოს-ტექნიკოსებსაც, რომელთა ნაკლებობას არანაკლებ განიცდის ჩვენი მრეწველობა.

საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა უნდა მიიღონ ერთობლივი ღონისძიებანი ამ საკითხის გადასაწყვეტად.

**გ. ალასანია,**
**დოცენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

## სასარგებლო წიგნი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობამ ახლახან გამოსცა ნ. თოდუას წიგნი „ცოცხალი კუთხე სკოლაში“ (რედაქტორი დოცენტი ჯანშვილი), რომელშიც განხილულია: სკოლაში ცოცხალი კუთხის მოწყობის ზოგიერთი პრინციპი; სასკოლო ცოცხალი კუთხის გასამართავად საჭირო ინვენტარი; იმ ცხოველების შემადგენლობა, რომლებიც უნდა იყოს სასკოლო ცოცხალ კუთხეში ზოოლოგიის სასკოლო პროგრამის შესაბამისად; სასკოლო ცოცხალი კუთხის მოვლა-შენახვა; სასკოლო ცოცხალ კუთხეში ზოგიერთი დაკვირვების მოხდენის მაგალითები. მოყვანილია სათანადო საილუსტრაციო მასალა, აგრეთვე უმთავრესი ლიტერატურული წყაროების დასახელება.

ნ. თოდუას „ცოცხალი კუთხე სკოლაში“ უთუოდ კარგი წამოწყებაა. იგი ხელს შეუწყობს იმას, რომ საბჭოთა-სამეცნიერო დისციპლინებში მოსწავლეს გამოუმუშავდეს პრაქტიკული მუშაობის ჩვევები.

ნ. თოდუას „ცოცხალი კუთხე სკოლაში“ განსაკუთრებით მოსაწონია იმიტომაც, რომ თვით ავტორი 51-ე საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეა, თბილისის პიონერთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის ერთ-ერთი აქტიური მომუშავე. ნ. თოდუა, როგორც ბუნების შესწავლით მეტად დაინტერესებული ნორჩი ბუნებისმეტყველი, მთელი რიგი წლების მანძილზე თვითონ აწარმოებდა იმ დაკვირვებებს, რომელთა შესახებაც მოთხრობილია მის წიგნში „ცოცხალი კუთხე სკოლაში“.

**პროფესორი დ. კოკბასიძე.**

## „ჭიათურის მარგანეცის საბადოს ექსპლოატაციის ისტორიისათვის“

ჭიათურა. (საკ. კორ.). ამ სათაურით გამოვიდა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მთავარი გეოლოგის, გეოლოგიო-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. გავაშელის ბროშურა. ბროშურაში განხილულია მარგანეცის მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში, დასახელებულია პირველი წყაროები ჭიათურის მარგანეცის საბადოს შესახებ. ავტორი განიხილავს მარგანეცის საბადოს ექსპლოატაციის ისტორიის ოთხ ეტაპს 1879 წლიდან დღემდე.

ბროშურა გამოსცა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 5.000 ცალი ტირაჟით. რედაქტორია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი რ. აგლაძე.

## ჯ. ჭიჭინაძის ახალი თარგმანების კითხვა-განხილვა

დღეს, 20 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე მწერალთა კავშირის კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13) მთარგმნელთა სექციის საჯაო სხდომაზე პოეტი კ. ჭიჭინაძე წაიკითხავს თავის ახალ თარგმანებს (ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, თ. ტიუტჩევი, ნ. ნეკრასოვი, ა. სურკოვი, მ. ისაკოვსკი, კ. სიმონოვი, ა. ტვარდოვსკი).

## «ღალატის» მესამასე წარმოდგენა

ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის ლეგენდა-დრამა „ღალატი“ პირველად ნოსკოვის მცირე თეატრში დაიდგა 1903 წელს. მასში ზეინაბის როლს ასრულებდა რუსული სცენის სიამაყე მარიამ ერმოლოვა, ხოლო შემდეგში ოთარ-ბეგის როლი განუსახიერებია პიესის ავტორს, მოსკოვის მცირე თეატრის ხელმძღვანელს და გამოჩენილ მსახიობს ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინს.

პიესა მრავალი წლის მანძილზე დიდი წარმატებით იდგმებოდა მოსკოვის მცირე თეატრში და ასეთივე წარმატებით მოიარა რუსეთის თითქმის ყველა საუკეთესო თეატრი. იგი რამდენიმე უცხო ენაზე ითარგმნა.

ქართულ ენაზე „ღალატი“ ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ პირველად წარმოდგენილ იქნა თბილისში 1904 წლის 20 იანვარს მაშინდელ სახაზინო (ახლანდელი ოპერისა და ბალეტის) თეატრში.

ქართულ სცენაზე „ღალატის“ პირველი დადგმის რეჟისორი იყო აკაკი წერეთელი, ხოლო ამ პირველი წარმოდგენის მონაწილენი — ქართული თეატრალური ხელოვნების შესანიშნავი ძალები — ეფ. მესხი, ვ. გუნია, ვლ. მესხიშვილი, კ. ყიფიანი, ელ. ჩერქეზიშვილი, ა. კარგარეთელი, ნ. დავითაშვილი და სხვ. შემდეგში ამ სპექტაკლში მონაწილეობა მიუღიათ ვ. აბაშიძეს, ა. იმედაშვილს, ნ. გვარაძეს, ნ. ჩხეიძეს.

რუსთაველის სახელობის თეატრში 1940 წელს [illegible] — [illegible] — [illegible] ლო შემდეგში დიდ. თავაძემ, მუსიკის ავტორია კომპოზიტორი რ. გაბიჩვაძე.

პირველი სპექტაკლის მონაწილენი იყვნენ: ხუცა ჩხეიძე, გ. დავითაშვილი, მ. ჩიხლაძე, ალ. აფხაიძე, ნ. ლაფაჩი, ემ. აფხაიძე, გ. საღარაძე, ვ. დოლიძე, დ. ხუციშვილი, რ. ბერიძე, ნ. ჯავახიშვილი და სხვ. 56-ე წარმოდგენაში პირველად შეკიდნენ გამოჩენილი მსახიობები აკ. ხორავა და აკ. ვასაძე.

რუსთაველის სახელობის თეატრში 14 ოქტომბერს გაიმართა „ღალატის“ მესამასე წარმოდგენა. ამ სპექტაკლის ბევრ მონაწილეს 200-ზე მეტჯერ განუსახიერებია როლი. მაგალითად, დ. ხუციშვილს (საბა-ბერი) 299-ჯერ, ხოლო სოლეიმან-ხანის როლი უცვლელად 300-ჯერ განასახიერა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მიხეილ ჩიხლაძემ. აღსანიშნავია, რომ სპექტაკლში აქამადე მონაწილეობს ქართულ სცენაზე პირველად დადგმული „ღალატის“ პირველი მონაწილე, მხცოვანი მსახიობი, რუსპუბლიკის სახალხო არტისტი ნინო დავითაშვილი.

მაყურებელი დიდი ინტერესით ესწრება სპექტაკლს.

**გ. ძნელაძე.**

## მზადება დავით გურამიშვილის იუბილესათვის

ამას წინათ გაიმართა დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავის აღსანიშნავად შექმნილი რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის სხდომა.

კომიტეტმა დასახა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები: დავით გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცემა პოეტის თხზულებათა სრული დასურათებული აკადემიური კრებული; აკადემიური გამოცემის ტექსტს მოამზადებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი; აკადემიურ გამოცემას დაერთვის ლექსიკონი, რომელსაც მოამზადებს ენათმეცნიერების ინსტიტუტი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა გამოსცემს ახალ საარქივო მასალებს დავით გურამიშვილის შესახებ; გამოვა დავით გურამიშვილის ნაწარმოებთა მასობრივი პოპულარული კრებული, გამოცემულ იქნება გიორგი ლეონიძის ვრცელი მონოგრაფია „დავით გურამიშვილის ცხოვრება და შემოქმედება“, დ. კოსარიკის წიგნი „დავით გურამიშვილი უკრაინაში“ — ქართულ ენაზე და სხვ.

საიუბილეო კომიტეტის დადგენილებით დავით გურამიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად განხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებანი: ქალაქ თბილისში დაიდგმება დავით გურამიშვილის ძეგლი; საგურამოში, დავით გურამიშვილის მშობლიურ სოფელში, გაიხსნება დავით გურამიშვილის სახლ-მუზეუმი და დადგმულ იქნება პოეტის ბიუსტი. სოფელ ლამისყანაში „გურამიშვილის წყაროსთან“ გაკეთდება მემორიალური დაფა.

მოეწყობა დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

დავით გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავის იუბილე გაიმართება 1955 წლის სექტემბერში.

## მწყემსების კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის

ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე მყოფ ქართველ მწყემსებს შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ასამაღლებლად საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარმა სამმართველომ ჩორნი რინოკის კლუბისათვის წიგნების შესაძენად გამოჰყო თვრამეტი ათასი მანეთი. უკვე შერჩეულია და ადგილზე იგზავნება ცამეტი ათასი მანეთის ლიტერატურა. ინვენტარის შესაძენად გამოყოფილია ხუთი ათასი მანეთი, რაც ადგილზევე (ქ. ჩორნი რინოკში) იქნება ათვისებული. კლუბს გადაეცა მოძრავი ბიბლიოთეკა-ავტომობილი, რომელიც გაიგზავნა საზამთრო საძოვრებზე. მიღებულია ზომები, რათა სისტემატურად იგზავნებოდნენ ლექტორები და კულტმუშაკები მწყემსთა შორის ლექციათ-საუბრების ჩასატარებლად.

ჩორნი რინოკში არის მოძრავი კინო, რომელიც მომსახურებას უწევს მწყემსებს როგორც ცხვრის გასარეკ ტრასზე, ისე ადგილზე საზამთრო საძოვრებზე. კინომანქანა უზრუნველყოფილია მხატვრული და სასოფლო-სამეურნეო ფილმებით. რამდენადაც არსებული სასოფლო კლუბი თავისი პროფილით ალარ შეეფერება იმ დანიშნულებას, რაც მას აკისრია, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარი სამმართველოს მიერ მიღებულია სათანადო ღონისძიებანი, რათა ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე უახლოეს დროში დაარსდეს კულტურის სახლი.

**ი. ხუციშვილი.**
**ჩორნი რინოკის სასოფლო კლუბის გამგე.**

## დავაჩქაროთ საბინაო ფონდის მომზადება ზამთრისათვის

უმაგალითო ტემპით ვითარდება საბინაო მშენებლობა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში.

ახალი, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან ერთად დიდი თანხები იხარჯება არსებული საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობაზე, მის შეკეთებაზე.

ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებით ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს. დედაქალაქის მთელ რიგ რაიონებში წარმატებით მიმდინარეობს სახლების სახურავების, წყალსადენის, კანალიზაციისა და ელექტროქსელის კაპიტალური და მიმდინარე რემონტი.

არის ნაკლიც. კერძოდ, ყოვლად შეუწყნარებელია, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომის, რაისაბჭოების აღმასკომების, საბინაო სამმართველოების, სარემონტო კანტორების ზოგიერთი მუშაკი ბიუროკრატულად, უსულგულოდ ეკიდება მოქალაქეთა წერილებსა და საჩივრებს საცხოვრებელი ბინების მოვლა-პატრონობისა და შეკეთების შესახებ.

კალინინის ქ. № 57 სახლში მცხოვრები ი. გერსანია რედაქციას სწერს:

„ბევრჯერ მივმართე რაისაბჭოს აღმასკომს, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა. ჩემს საცხოვრებელ ბინაში წყალი ჩამოდის, კედლები ისეა დაზიანებული, რომ ნაწილობრივ კიდევაც ინგრევა. საბინაო სამმართველოდან მოვიდნენ, შეამოწმეს ბინა, დაგვპირდნენ შეკეთებას და წავიდნენ. ეს იყო და ეს“.

საცხოვრებელი ბინის შეკეთებას მოითხოვენ ფოთისა და ორჯონიკიძის ქუჩების № 6/108 სახლის მობინადრეები ი. მაისურაძე, ა. ჭარბაძე, ვ. მელაძე, ძნელაძის ქ. № 30 სახლში მცხოვრები ვ. ბუცხრიკიძე, პლეხანოვის პროსპ. № 141 სახლში მცხოვრენი ი. გაჩავა, თ. მიქელაძე და სხვები. მათი ბინები მართალია შეაკეთეს, მაგრამ უპასუხისმგებლოდ, დაბალხარისხოვნად, ოთახებში წვიმა ისევ ჩამოდის.

უფრო მეტიც. გასულ წელს ვაშლოვანის ქ. № 1 (ორჯონიკიძის რაიონი) სახლს კაპიტალური რემონტი გაუკეთდა და ამაზე ათეულ ათასობით ნაღები დაიხარჯა. რემონტის შემდეგ სახლი გარედან ლამაზად გამოიყურება.

„მაგრამ დაბეთ უბედურებას, — წერს მოქალაქე ნ. თორაძე, — წვიმა ისევ ჩამოდის. რას ჰგავს ეს?“.

ბინების დაბალხარისხოვანი რემონტის შესახებ რედაქციაში მრავალი სიგნალი მოდის კიროვის, მოლოტოვის, 26 კომისრის რაიონებიდან.

საცხოვრებელ სახლებში სანიმუშო სისუფთავისა და წესრიგის დაცვა დიდმნიშვნელოვანი საქმეა. სამწუხაროდ, ამ მხრივ თბილისში ბევრი ნაკლია. ზოგჯერ საპირფარეშოებისა და სანაგვე ყუთების შეკეთებას „წვრილმან“ საქმედ თვლიან.

„პირდაპირ სამარცხვინოა, — გვწერს სტახანოველი ზეინალი ვ. სუხიშვილი, — რომ დედაქალაქის ცენტრში, გოგოლის ქ. № 65 სახლის ეზოში, ნაგავი გორებად დგას, ანტისანიტარიაა გამეფებული. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამავე სახლში რამდენიმე დაწესებულებაა, მათ შორის საზოგადოებრივი კვების ობიექტებიც. საინტერესოა, რას ფიქრობენ აღნიშნულ დაწესებულებათა ხელმძღვანელები? ამ აღმაშფოთებელ მდგომარეობას „წვრილმანად“ ხომ არ თვლიან?“

უწესრიგობის, დაზიანებული საპირფარეშოების, ანტისანიტარული მდგომარეობის შესახებ გვწერენ მოქალაქეები კ. კუტივაძე, ვ. მარგველაძე, ს. სარალიძე და სხვები.

არის ქუჩების დანაგვიანების დაუშვებელი ფაქტებიც. დაუსრულებლად ქიანურდება ჭავჭავაძის ქუჩის კეთილმოწყობის სანუმაოები, რის გამო იქ ავტომანქანის კარგ ამინდშიც კი გავლა ძნელი ხდება, — გვწერს ო. ქოქიაშვილი.

საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის, სანიმუშო სანიტარული წესების დაცვის შესახებ მრავალი განცხადება და სიგნალი შედის როგორც რაისაბჭოების, ისე ქალაქის საბჭოს აღმასკომებში. მაგრამ ხშირად მათ ყურადღებას არ აქცევენ.

ზამთრისათვის სანიმუშოდ მომზადება საქალაქო მეურნეობის მუშაკთა ღირსების საქმეა. მათ ყოველგვარი პირობები აქვთ ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის.

## სასაქონლო ცოცხალი კუთხე სკოლაში

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობამ ახლახან გამოსცა ნ. თოდუას წიგნი „ცოცხალი კუთხე სკოლაში“ (რედაქტორი დოცენტი ჯანშვილი), რომელშიც განხილულია: სკოლაში ცოცხალი კუთხის მოწყობის ზოგიერთი პრინციპი; სასკოლო ცოცხალი კუთხის გასამართავად საჭირო ინვენტარი; იმ ცხოველების შემადგენლობა, რომლებიც უნდა იყოს სასკოლო ცოცხალ კუთხეში ზოოლოგიის სასკოლო პროგრამის შესაბამისად; სასკოლო ცოცხალი კუთხის მოვლა-შენახვა; სასკოლო ცოცხალ კუთხეში ზოგიერთი დაკვირვების მოხდენის მაგალითები. მოყვანილია სათანადო საილუსტრაციო მასალა, აგრეთვე უმთავრესი ლიტერატურული წყაროების დასახელება.

ნ. თოდუას „ცოცხალი კუთხე სკოლაში“ უთუოდ კარგი წამოწყებაა. იგი ხელს შეუწყობს იმას, რომ საბჭოთა-სამეცნიერო დისციპლინებში მოსწავლეს გამოუმუშავდეს პრაქტიკული მუშაობის ჩვევები.

ნ. თოდუას „ცოცხალი კუთხე სკოლაში“ განსაკუთრებით მოსაწონია იმიტომაც, რომ თვით ავტორი 51-ე საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეა, თბილისის პიონერთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის ერთ-ერთი აქტიური მომუშავე. ნ. თოდუა, როგორც ბუნების შესწავლით მეტად დაინტერესებული ნორჩი ბუნებისმეტყველი, მთელი რიგი წლების მანძილზე თვითონ აწარმოებდა იმ დაკვირვებებს, რომელთა შესახებაც მოთხრობილია მის წიგნში „ცოცხალი კუთხე სკოლაში“.

**პროფესორი დ. კოკბასიძე.**

## „ჭიათურის მარგანეცის საბადოს ექსპლოატაციის ისტორიისათვის“

ჭიათურა. (საკ. კორ.). ამ სათაურით გამოვიდა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მთავარი გეოლოგის, გეოლოგიო-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. გავაშელის ბროშურა. ბროშურაში განხილულია მარგანეცის მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში, დასახელებულია პირველი წყაროები ჭიათურის მარგანეცის საბადოს შესახებ. ავტორი განიხილავს მარგანეცის საბადოს ექსპლოატაციის ისტორიის ოთხ ეტაპს 1879 წლიდან დღემდე.

ბროშურა გამოსცა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 5.000 ცალი ტირაჟით. რედაქტორია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი რ. აგლაძე.

## ჯ. ჭიჭინაძის ახალი თარგმანების კითხვა-განხილვა

დღეს, 20 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე მწერალთა კავშირის კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13) მთარგმნელთა სექციის საჯაო სხდომაზე პოეტი კ. ჭიჭინაძე წაიკითხავს თავის ახალ თარგმანებს (ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, თ. ტიუტჩევი, ნ. ნეკრასოვი, ა. სურკოვი, მ. ისაკოვსკი, კ. სიმონოვი, ა. ტვარდოვსკი).

# არჩევნები ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში

მიმდინარე წლის 2 ნოემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში შედგება კონგრესის მორიგი არჩევნები. არჩეულ იქნება წარმომადგენელთა პალატის ახალი შემადგენლობა და სენატის ერთი მესამედი.

კონგრესი წარმოადგენს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს და შედგება ორი პალატისაგან. ქვედა პალატა — წარმომადგენელთა პალატა — შედგება 435 წევრისაგან, ხოლო ზედა პალატა — სენატი — 98 წევრისაგან (ყოველი შტატი სენატში გზავნის ორ წარმომადგენელს). არჩევნები ერთსაფეხურიანია, ე. ი. პირდაპირი, და ეწყობა ყოველი ლუწი წლის ნოემბრის პირველ სამშაბათს. ამ დღეს ხდება მთელი წარმომადგენელთა პალატის და სენატის ერთი მესამედის არჩევნები.

ამერიკის კონგრესი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე რეაქციულ ორგანოს, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს უოლ-სტრიტის ბოროტლების ყოველ მითითებას ქვეყნის შინაგან და საგარეო საქმეებში.

ამერიკელ ხალხს ფაქტიურად წართმეული აქვს უფლება გაგზავნოს კონგრესში თავისი ნამდვილი წარმომადგენლები. კონგრესში იგზავნებიან მხოლოდ მონოპოლისტების დაქირავებული აგენტები და თვითონ მონოპოლისტები. ამერიკაში არსებული საარჩევნო სისტემა შეუძლებელს ხდის პროგრესული კანდიდატების არჩევას. საკმარისია გავიხსენოთ 1952 წლის არჩევნები, რომ ჩვენთვის გასაგები გახდეს, თუ რას წარმოადგენს ე. წ. „ამერიკული დემოკრატია“.

1952 წლის ნოემბერში კონგრესის არჩევნები პრეზიდენტის არჩევნებს დაემთხვა. ამ არჩევნებში ძირითად კონკურენტებად გამოდიოდნენ, როგორც ყოველთვის, რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები. ორივე ეს პარტია ნოწოდებულია თავისი „ბრძოლით“ მოატყუოს ამერიკელი ხალხი, მოაჩვენოს, რომ იქ თითქოს მართლაც ნამდვილი დემოკრატიაა. ორპარტიული სისტემის მთავარი ამოცანაა შორს დააყენოს მასები ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან, არ მისცეს მათ საშუალება აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო მმართველობაში და გამოხატონ თავიანთი ნამდვილი ნება არჩევნების დროს.

როგორ ხდება არჩევნები ამერიკის შეერთებულ შტატებში? აღსანიშნავია, რომ ამერიკის კონსტიტუციაში არ არსებობს დებულება საყოველთაო არჩევნების შესახებ. ეს შესაძლებლობას აძლევს ყოველი შტატის ხელისუფლებას თავისი სურვილისამებრ შეზღუდოს ან საერთოდ გაუქმოს საარჩევნო უფლებები. შტატების საარჩევნო კანონმდებლობა მეტად მრავალფეროვანია, ოაგრამ ამ მრავალფეროვნების არსი ერთია — შეზღუდოს მშრომელი მასების უფლებები. მაგალითად, მრავალ შტატში არსებობს ეგრეთწოდებული ქონებრივი ცენზი, რომლის შედეგად ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ მხოლოდ ის პირები, ვისაც აქვს ფულადი შემოსავალი ან უძრავი ქონება კანონით დაწესებულ ფარგლებში. არსებობს აგრეთვე განათლების, ბინადრობის და სხვა ცენზები. ამ ცენზების საერთო რაოდენობა 50-ს აღემატება.

ალაბამის შტატში საარჩევნო უფლების ნიღბისათვის საჭიროა, რომ მოქალაქე ფლობდეს სულ მცირე 300 დოლარის ღირებულების ქონებას, ცხოვრობდეს შტატში არანაკლებ ორი წლისა, ხოლო ოლქში არანაკლებ ერთი წლისა, უნდა იცოდეს წერა-კითხვა, აგრეთვე შეეძლოს ამერიკის და ალაბამის შტატის კონსტიტუციების ყოველი მუხლის ახსნა-განმარტება. იგი პირადად უნდა წარსდგეს სარეგისტრაციო სამსჭოს წინაშე, დაადასტუროს, რომ ყველა წარდგენილ მოთხოვნას აკმაყოფილებს, და დაიახადოს საარჩევნო საფიანდარი. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სარეგისტრაციო სამსჭო იკრიბება წელიწადში მხოლოდ ორჯერ, ხოლო მოსულს რეგისტრაციაზე ხშირად უპასუხებენ, რომ სამსჭოს მოხელე წავიდა... „სათევზაოდ“, აშკარა გახდება, რას წარმოადგენს არჩევნების „საყოველთაობა“ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

რაც შეეხება თვით წინასაარჩევნო და საარჩევნო კამპანიას, უნდა ითქვას, რომ არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არჩევნები არ ეწყობა ისეთი ტერორისა და რეპრესიების ნიშნით, როგორც შეერთებულ შტატებში. ამერიკელი მონოპოლისტები არ ზოგავენ არაფერს, დაწყებული ამომრჩეველების მოსყიდვით და დამთავრებული არასასურველი კანდიდატების დაპატიმრებით, ხშირად ოკვლითაც კი. რადიო, პრესა, კინო, სატელევიზიო გადაცემები და სხვა იდეოლოგიური ზეგავლენის იარაღები ამ პერიოდში მუშაობენ ერთი მიმართულებით — უზრუნველყონ ერთ-ერთი პარტიის კანდიდატების არჩევა.

მაგალითად, 1952 წელს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩევლების მხოლოდ 60-მა პროცენტმა. მხოლოდ სამხრეთის 11 შტატში „საარჩევნო გადასახადისა და სხვა ადგილობრივი მიზეზების გამო“ არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღო 7.700 ათასმა კაცმა. „ადგილობრივ მიზეზებად“ იგულისხმება, მაგალითად, კუ-კლუკს-კლანის ტერორი, რომლის შედეგად ხუთი მილიონი ზანგიდან მხოლოდ მილიონმა შეძლო ხმის მიცემა, ისიც დიდი ბრძოლის შემდეგ.

1952 წლის არჩევნების შედეგები ცნობილია: რესპუბლიკურმა პარტიამ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე პირველად გაიმარჯვა დემოკრატიულ პარტიაზე, მოიპოვა უმრავლესობა კონგრესში და გაიყვანა პრეზიდენტად თავისი წარმომადგენელი — ეიზენჰაუერი.

ეს შედეგი მოსალოდნელიც იყო, რადგან ტრუმენ-აჩესონის პოლიტიკამ საბოლოოდ გააქარწყლა ხალხის ნდობა დემოკრატიული პარტიისადმი. დემოკრატიული პარტია პოლიტიკური სიკვდილის წინაშე იდგა. უოლ-სტრიტის ბოროტლებმა გადაწყვიტეს „ცხენების შეცვლა“ და სიმძიმის ცენტრი გადაიტანეს რესპუბლიკურ პარტიაზე, რომელიც იმ დროს ოპოზიციაში იდგა. ეს ოპოზიცია, რასაკვირველია, მოჩვენებითი, თვალთმაქცური იყო და მოწოდებული იყო მოეტყუებინა საშუალო ამერიკელი. მორგანის, როკფელერის, დიუპონის და სხვა მილიარდერების უშუალო დახმარებით სახელმწიფოს სათავეში ჩადგა რესპუბლიკური პარტია.

რას წარმოადგენს 1952 წელს არჩეული კონგრესი, რომლის გადარჩევა ა. წ. 2 ნოემბერს უნდა მოხდეს. ჯერერთი, ყურადღებას იპყრობს მისი შემადგენლობა. სენატორების და წარმომადგენლთა პალატის წევრების 58 პროცენტი იურისტებია, რომლებიც ემსახურებიან მონოპოლიებს; სენატორების 30 პროცენტი და წარმომადგენელთა პალატის წევრთა 34 პროცენტი თვითონ მსხვილი საქმოსნები და ბანკირებია, ხოლო დანარჩენები — მემამულე „ფერმერები“ და ლატიფუნდიების ფლობელები.

ამრიგად, 83-ე მოწვევის კონგრესი უკვე თავისი შემადგენლობით გვიჩვენებს, თუ ვის ინტერესებს იცავს იგი, ვინ არის შეერთებული შტატების ფაქტიური პატრონი.

83-ე მოწვევის კონგრესის საქმიანობამ საშინაო და საგარეო პოლიტიკაში უჩვენა ამერიკელ ხალხს, რომ ისევე როგორც დემოკრატები, რესპუბლიკური პარტიაც ემსახურება მხოლოდ ერთ პატრონს — კაპიტალს და ყველა ღონისძიებას ხმარობს, რათა უზრუნველყოს მონოპოლიებისათვის ნაქსიმალური მოგება. ეკონომიკის დარგში ამერიკის კონგრესმა და მთავრობამ ხელი შეუწყეს მონოპოლიების პოზიციების შემდგომ გაფართოებას. მაგალითად, კონცერნებს გადაეცათ მექსიკის ყურეში არსებული ნავთობიანი მეჩიჩების (რომლებიც წინათ სახელმწიფოს ეკუთვნოდა) დამუშავების უფლება, აგრეთვე მრავალი საწარმო, შემცირებულ იქნა გადასახადები ზედმეტ მოგებაზე, გაუქმდა კონტროლი ფასებსა და ბინის ქირაზე და ა. შ.

ეს კანონები ორივე პალატამ მიიღო სრულიად დაუბრკოლებლად.

მაგრამ სულ სხვა პირობებში ხდებოდა ისეთი კანონპროექტების განხილვა, რომლებიც მიზნად ისახავდა ნშრომელი მასების მატერიალური პირობების გაუმჯობესებას. როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდა საავადმყოფოების მშენებლობისათვის სათანადო თანხების გამოყოფაზე, კონგრესში ერთი ამბავი ატყდა, რის შედეგადაც 35 მილიონი დოლარის ნაცვლად გამოიყო 21 მილიონი დოლარი. კონგრესმა უარი თქვა შრომისუნარმოკლებულებისათვის დახმარების გაწევაზე, უარი თქვა აგრეთვე სკოლების მშენებლობისათვის 500 მილიონი დოლარის გამოყოფაზე, შეცვალა კანონი ფერმერების სუბსიდირების შესახებ, რითაც დიდი ზიანი მიაყენა მშრომელ ფერმერებს და კიდევ უფრო გაუარესა მათი ისედაც მძიმე მდგომარეობა.

მას შემდეგ, რაც რესპუბლიკური პარტია ჩადგა ხელისუფლების სათავეში, უფრო გააქტიურდნენ ყველა სახის ფაშისტური ელემენტები, რომლებიც იბრძვიან პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ადამიანების წინააღმდეგ, ცდილობენ სისხლში ჩაახრჩონ მშრომელი ხალხების მისწრაფება მშ

## კომუნიკე
### ნერუსა და ხო ში მინის მოლაპარაკების შესახებ

პეკინი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას საგენტოს ხანოელმა კორესპონდენტმა გადმოსცა ერთობლივი კომუნიკეს ტექსტი, რომელიც გამოქვეყნდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუს მოლაპარაკების შემდეგ. კომუნიკეში ნათქვამია:

„პრეზიდენტი ხო ში მინი 17 ოქტომბერს სალამოს შეხვდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს, და მათ განიხილეს სხვადასხვა საკითხები, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ. ისინი ორივე დაინტერესებული არიან, რომ შესრულდეს ენერგის შეთანხმება ინდოჩინეთის საკითხზე, და პრეზიდენტმა ხო ში მინმა განუცხადა პრემიერ-მინისტრს, რომ იგი ხელს უწყობს და კვლავაც შეუწყობს ხელს საერთაშორისო კომისიას ამ შეთანხმების შესასრულებლად. იგი ესწრაფვის იმას, რომ ყველა დარჩენილი საკითხი გადაიჭრას მშვიდობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით, რათა ინდოჩინეთის ქვეყნებს შეეძლოთ იცხოვრონ დამოუკიდებლად და აყვავდნენ გარედან ჩაურევლად.

პრეზიდენტი ხო ში მინი სრული რწმენით უყურებს იმ ხუთ პრინციპს, რომელთა შესახებ მიღწეული იყო შეთანხმება ჩინეთისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრებს შორის, და სურს გამოიყენოს ისინი, ერთი მხრივ, ვიეტნამის და ლაოსის, და მეორე მხრივ კამბოჯას შორის ურთიერთობისათვის, აგრეთვე სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისათვის.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრი დაეთანხმა იმას, რომ ამ პრინციპების გამოყენება აღმოფხვრის სიძნელეებსა და საშიშროებას და ხელს შეუწყობს მეგობრული ურთიერთობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის დამყარებას სხვადასხვა ქვეყნებს შორის.

პრეზიდენტმა ხო ში მინმა აღნიშნა ინდოეთისა და ვიეტნამის ხალხის ურთიერთობა უძველესი დროიდან და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში ეს ურთიერთობა განახლდება და განმტკიცდება. ინდოეთის პრემიერ-მინისტრი სავსებით დაეთანხმა იმას, რომ ინდოეთის დამოკიდებულება ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ქვეყნებთან და ხალხებთან უნდა წახალისდეს და განმტკიცდეს“.

---

## ახალი ელექტროსადგურების მშენებლობა ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 18 ოქტომბერი. (საკდესი). შარშან ჩეხოსლოვაკიის ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 12,4 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, სამჯერ და უფრო მეტი, ვიდრე 1937 წელს. ახლა შენდება ბევრი ახალი ჰიდრო და თბოელექტროსადგური. ამას წინათ პირველი სამრეწველო დენი მისცა სლაპის ჰიდროელექტროსადგურმა მდინარე ვლტავაზე. წელის ბოლომდე სლაპის ელექტროსადგურში საექსპლოატაციოდ გადაეცემა მეორე ტურბოგენერატორი. ამ დიდი ჰიდროენერგეტიკული ობიექტის მშენებლობა მომავალ წელს დამთავრდება.

სწრაფი ტემპით შენდება სკალსკის ჰიდროელექტროსადგური მდინარე ვაგზე (სლოვაკია). 1 დეკემბრისათვის აქ ამოიღებენ ორ მილიონ კუბურ მეტრ გრუნტს, ჩაასხამენ ათიათეულ ათასობით კუბურ მეტრ ბეტონს. სკალსკის ჰიდროელექტროსადგურის სამუშაოთა წარმატებით მსვლელობას ხელს უწყობს დიდი წარმადობის საბჭოთა ტექნიკა.

შენდება აგრეთვე ახალი მძლავრი ელექტროსადგურები ტრშებოვიცაში (ოსტრავის ოლქი), გოდონინში (ბრნოს ოლქი) და ჩეხოსლოვაკიის სხვა სამრეწველო ცენტრებში. ამა წლის ბოლომდე მწყობრში ჩადგება რამდენიმე ახალი ელექტროსადგური სლოვაკიაში, მათ შორის გორნოსტრადის, ბრატისლავის № 1, ზვოლენსკო-ბუჩისა და სხვები.

მომავალ წელს დასახულია მთელ რიგ ახალ ენერგეტიკულ ნაგებობათა მშენებლობა. დაიწყება ელექტროსადგურისა და კაშხალის მშენებლობა მდინარე სტონავკაზე (ოსტრავის ოლქი). ამ სადგურის აგება შესაძლებელს გახდის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ეკონომიური ამოცანების გადაჭრას. სტონავკის კაშხალი შექმნის უზარმაზარ წყალსაცავს, რომელიც შესაძლებელს გახდის შეიქმნას წყლის მარაგი, რაც საჭიროა ტრჟინეცის ვ. ი. მოლოტოვის სახელობის მეტალურგიული კომბინატისა და ოსტრავსკა-კარვინსკის ქვანახშირის კომბინატის შეუფერხებელი მუშაობისათვის.

ახალ ენერგეტიკულ ნაგებობათა საექსპლოატაციოდ გადაცემა უკვე მომავალ წელს შესაძლებელს გახდის ელექტროენერგიის წარმოება მიმდინარე წელთან შედარებით 11 პროცენტით გადიდდეს.

---

## არჩევნების წინასწარი შედეგები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). ოფიციალურად გამოცხადდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატისა და დიდი ბერლინის სახალხო წარმომადგენლობის არჩევნების წინასწარი შედეგები:

დიდი ბერლინის სახალხო წარმომადგენლობის არჩევნების კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 875.026 კაცმა, ე. ი. ხმის უფლების მქონე პირთა 97,7 პროცენტმა. დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ერთიან სიას ხმა მისცა 869.265 კაცმა — კენჭისყრის ყველა მონაწილის 99,3 პროცენტმა.

გაუქმებულად და ერთიანი სიის წინააღმდეგ მიცემულად იქნა ცნობილი 5.761 ხმა, ანუ 0,7 პროცენტი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის არჩევნებში მონაწილეობისათვის რეგისტრაციაში გატარებული იყო 12.086.987 მოქალაქე, რომლებსაც ხმის მიცემის უფლება აქვთ. დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ერთიან სიას ხმა მისცა 11.807.497 კაცმა, ე. ი. 99,3 პროცენტმა.

გაუქმებულად და დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ერთიანი სიის წინააღმდეგ მიცემულად იქნა ცნობილი 82.320 ხმა, ე. ი. 0,7 პროცენტი.

---

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის პირველი სხდომა

პეკინი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო გადმოგვცემს, გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის პირველი სხდომა.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა. სხდომამ აგრეთვე მოისმინა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პინ დეხუაის მოხსენება.

---

## ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ პეკინს ჩავიდა

პეკინი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით პეკინს ჩამოვიდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ. პრემიერ-მინისტრს ახლავან მისი ქალიშვილი ინდირა განდი და საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი პილაი.

აეროდრომზე ნერუს შეხვდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი, სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილეები ჩენ იუნი, პინ დე-ხუაი, დენ ძი-ხუეი, ხე ლუნი, ულანფუ, ლი ფუ-ჩუნი, ლი სიანნიანი; ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს გენერალური მდივანი სი ჯუნ-სიუნი, სახალხო განმათავისუფლებელი არმიის სარდლობის წარმომადგენლები, პეკინის მერი პინ ჯენი, პეკინისა და ტიანძინის გარნიზონის სარდალი ნე ჟუნ-ჯენი, აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კავშირის კომიტეტის თავმჯდომარე სუნ ცინ-ლინი, ჩინეთის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გო მო-ჟო, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს უფროსი დენ სიაო-პინი, დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ჩინეთ-ინდოეთის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე დინ სი-ლინი, სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი საჰიბ სინგ სოკჰეი, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები, ახალგაზრდათა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შემხვედრთა შორის აეროდრომზე იყვნენ სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. ფ. იუდინი, პეკინში აკრედიტებული საელჩოთა და მისიათა მეთაურები და წევრები.

---

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა მიიღო ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ

პეკინი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა მიიღო ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ.

მიღებას დაესწრნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე ჯუ დე, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სუნ ცინ-ლინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე ჩენ იუნი, ინდოეთის რესპუბლიკის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში რაგჰავანი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ინდოეთის რესპუბლიკაში იუან ჯუნ-სიანი.

---

## ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დაარსების 25-ე წლისთავი

ბრიუსელი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). 17 ოქტომბერს გაიმართა ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დაარსების 25-ე წლისთავის დღესასწაული. ღირსშესანიშნავი წლისთავის აღსანიშნავად ბრიუსელში ბელგიის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების დელეგაციები. დღესასწაულს დაესწრო უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად საკავშირო საზოგადოების დელეგაცია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ს. ი. ისაევის მეთაურობით.

„მადლენის“ დარბაზში, სადაც საზეიმო კრება გაიმართა, მოთავსებული იყო გამოფენა, რომელიც მოგვითხრობს საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრებისა და შრომითი წარმატებების შესახებ.

საზოგადოების გენერალურმა მდივანმა მორის სენენემ, რომელმაც მოხსენება გააკეთა, აღნიშნა, რომ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში საზოგადოებამ დიდი მუშაობა გასწია, რათა ბელგიელი ხალხი გასცნობოდა საბჭოთა კავშირის ცხოვრებას. საზოგადოების ინიციატივით სსრ კავშირს ეწვია ასობით დელეგაცია, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სოციალური ფენისა და პოლიტიკური რწმენის წარმომადგენლებმა, და ისინი ყველანი გამოთქვამდნენ თავიანთ აღტაცებას საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და კულტურული წარმატებებით, აღნიშნავდნენ მის მისწრაფებას მშვიდობისა და ყველა ხალხთან მეგობრობისადმი. საზოგადოება დიდ კულტურულ-საგანმანათლებელო მუშაობას ეწევა. ბელგიაში დიდი წარმატება აქვთ საბჭოთა კინოფილმებს. მარტო შარშან მოეწყო საბჭოთა კინოსურათების 400-ზე მეტი სეანსი, რომლებიც ათეულ ათასობით კაცმა ნახა. საზოგადოებამ შექმნა რუსული ენის შემსწავლელი წრეები.

სსრ კავშირის ელჩმა ბელგიაში ვ. ი. აველლამ, რომელმაც მოკლე სიტყვა წარმოთქვა, მხურვალედ მიესალმა საზოგადოების წევრებს ღირსშესანიშნავი წლისთავი და უსურვა მათ წარმატება მუშაობაში.

კრებაზე გამოვიდა აგრეთვე უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად საკავშირო საზოგადოების დელეგაციის ხელმძღვანელი პროფესორი ისაევი.

შეკრებილნი მეუხარე ოვაციით შეხვდნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად საკავშირო საზოგადოების მესაფლავებელ დეპეშას საზოგადოების 25-ე წლისთავის გამო და დიდი აღფრთოვანებით მიიღეს საპასუხო ტექსტი.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების გამოსვლა. ვალონიისა და ფლამანდიის სიმღერებსა და ცეკვებს აცილდა რუსული სიმღერები და ცეკვები. შემდეგ გაიმართა დიდი საღამოსწაული ბალი.

---

## საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ 10 წლისთავი

ჰელსინკი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). 15 ოქტომბერს ათი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირი“. ამასთან დაკავშირებით დღეს აქ გაიმართა საზოგადოების გამგეობის საბჭოს და ცენტრალური გამგეობის საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

სხდომას დაესწრნენ საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ი. კ. პაასიკივი, პრემიერ-მინისტრი ტერენგრენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. სხდომას დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების წარმომადგენელი ვორონინი, საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორ ი. პ. გერასიმოვის მეთაურობით და საბჭოთა მსახიობები, რომლებიც ფინეთს ჩამოვიდნენ საზოგადოების შექმნის 10 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით.

სხდომა გახსნა საზოგადოების გამგეობის საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორმა კაუკონენმა. თავის შესავალ სიტყვაში მან აღნიშნა, რომ 10 წლის განმავლობაში საზოგადოება გადაიქცა ერთ-ერთ უდიდეს ორგანიზაციად, რომელიც დიდ მუშაობას ეწევა საბჭოთა კავშირის ცხოვრების გასაცნობად. ამ მუშაობამ, ხაზგასმით აღნიშნა კაუკონენმა, ბევრად შეუწყო ხელი იმ აზრთა შეცვლას, რომლებიც წინათ ფინეთში გაბატონებული იყო საბჭოთა კავშირის შესახებ.

შემდეგ საზოგადოებას მიესალმა პრემიერ-მინისტრი ტერენგრენი, რომელმაც თქვა, რომ საზოგადოების დაარსება მაშინ შეესაბამებოდა ცხოველ მოთხოვნილებას, რომ ფინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა აგებულ არა მარტო ფორმალურ შეთანხმებათა გულწრფელი ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, არამედ აგრეთვე ისეთ ატმოსფეროში, რომელიც შესაბამისი იქნებოდა ორივე ქვეყნის მისწრაფებისათვის მეგობრული ურთიერთობის აშენების საქმეში. მან აღნიშნა, რომ საზოგადოებამ განვლილ 10 წელიწადში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ამ მხრივ.

შემდეგ ტერენგრენმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში ფინელ მოქალაქეთა და ფინეთში საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა მოგზაურობა, ერთმანეთის ცხოვრების გაცნობა და პირადი კონტაქტი იმის საუკეთესო წინაპირობაა, რომ მეგობრული ატმოსფერო შეიქმნას ფინეთისა და საბჭოთა კავშირს ურთიერთობაში.

შემძლია აღვნიშნო, თქვა დასასრულ ტენგრენმა, რომ როცა ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა უმჯობესდებოდა ორივე მხარის დამაკმაყოფილებელ საფუძველზე, თქვენმა საზოგადოებამ, რომელიც თავის იუბილეს დღესასწაულობს, ამაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ამისათვის საზოგადოება სახელმწიფო ხელისუფლების საუკეთესო მადლობის ღირსია.

შემდეგ გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი ი. პ. გერასიმოვი.

ი. პ. გერასიმოვმა საზოგადოებას გადასცა საჩუქარი — დიდი ფაიფურის ლარნაკი და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების ადრესი.

შემდეგ ილაპარაკა საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ თავმჯდომარემ სიულვიკიულიკი კილპიმ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზოგადოების წევრთა სწრაფი ზრდა იმას მოწმობს, რომ ასეთი ორგანიზაციის შექმნა დიდად საჭირო ყოფილა. საზოგადოება დიდმნიშვნელოვანი განმანათლებელი ორგანიზაცია გახდა.

კილპიმ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პირად კონტაქტს ამ ორი ქვეყნის ხალხთა შორის, და განაცხადა, რომ საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ განვითარდეს კულტურული ურთიერთობა ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

სხდომაზე წაიკითხეს ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კეკონენის მისასალმებელი დეპეშა საზოგადოებისადმი.

სხდომამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ საზოგადოება „ფინეთ-სსრ კავშირი“ ხელს შეუწყობს ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

---

## ინდოეთში საფრანგეთის სამფლობელოების ინდოეთის კავშირთან შეერთების გამო

პარიზი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი პონდიშერიდან იუწყება, გუშინ პონდიშერის კონგრესმა 170 ხმით 8 ხმის წინააღმდეგ მოიწონა ინდოეთში საფრანგეთის ტერიტორიების გადაცემა ინდოეთის კავშირისათვის.

---

# სპორტისა მგზეგი

★ ★

### დამთავრდა ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება

17 ოქტომბერს მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის გუნდების უკანასკნელი შეჯიბრება ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ გუნდები.

შეხვედრა დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით ანგარიშით 5:2.

პირველობის გათამაშების შედეგად ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება ფეხბურთში მოიპოვა მოსკოვის „დინამოს“ გუნდმა, რომელმაც მოაგროვა 35 ქულა ბურთების შეფარდებით 44:20. მეორე ადგილი დაიკავა მოსკოვის „სპარტაკმა“ 31 ქულით, მესამე — მინსკის „სპარტაკმა“ 30 ქულით.

ლენინგრადის „შრომითი რეზერვებისა“ და კიევის „დინამოს“ გუნდებმა მოაგროვეს თვითეულმა 26 ქულა. ლენინგრადელ ფეხბურთელებს ბურთების უკეთესი შეფარდება აქვთ (29:25). ისინი მეოთხე ადგილზე გამოვიდნენ, კიევის დინამოელები (31:29) — მეხუთეზე. მეექვსე ადგილი დაიკავა ცდსა-ს გუნდმა 24 ქულით. ლენინგრადის „ზენიტისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდებს მოგროვილი აქვთ 23 ქულა თვითეულს. გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი შეფარდების (27:26) გამო ლენინგრადელებმა დაიკავეს მეშვიდე ადგილი, ხოლო თბილისის დინამოელებმა (38:47) — მერვე ადგილი.

მეცხრე ადგილზეა მოსკოვის „ტორპედო“— (22 ქულა), მეათეზე — მოსკოვის „ლოკომოტივი“ — (21 ქულა), მეთერთმეტეზე — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვ“ — (20 ქულა), მეთორმეტეზე — ხარკოვის „ლოკომოტივი“ — (17 ქულა) და მეცამეტეზე — გორკის „ტორპედო“ (14 ქულა).

შეჯიბრების პირობების მიხედვით ხარკოვის „ლოკომოტივისა“ და გორკის „ტორპედოს“ გუნდები, რომლებმაც ბოლო ორი ადგილი დაიკავეს, „ა“ კლასიდან გადადიან „ბ“ კლასში.

**სურათზე:** მოსკოვის „დინამოს“ გუნდი — ფეხბურთში სსრ კავშირის 1954 წ. ჩემპიონი. მარცხნიდან მარჯვნივ — ვ. ილინი, ბ. კუზნეცოვი, ა. მამედოვი, ა. ვოდიანინი, ვ. რიტკინი, ვ. შაბროვი, ა. როდიონოვი, ე. ბაიკოვი, ს. სალნიკოვი, ლ. იაშინი, კ. კრიჟევსკი.

ფოტო ლ. დორენსკისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

---

### საბჭოთა ფეხბურთელების გამგზავრება საზღვარგარეთ

18 ოქტომბერს მოსკოვიდან პარიზს გაემგზავრა მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი. მოსკოვის დინამოელები მონაწილეობას მიიღებენ ამხანაგურ შეჯიბრებებში საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდებთან. დინამოელები ეწვევიან აგრეთვე შვეიცარიას, სადაც შეხვდებიან ადგილობრივ ფეხბურთელებს.

უახლოეს დღეებში მთელი რიგი ქვეყნების ფეხბურთელებთან ამხანაგურ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად საზღვარგარეთ მიდიან საბჭოთა ფეხბურთელების სხვა გუნდები. მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდი მონაწილეობას მიიღებს ამხანაგურ შეხვედრებში ინგლისისა და ბელგიის ფეხბურთელებთან. ლიბანში გაემგზავრება მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდი. კიევის დინამოელები გაემგზავრებიან პოლონეთში, ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდი — ჩეხოსლოვაკიაში.

ნოემბერში ალბანეთში გაემგზავრება ლენინგრადის „შრომითი რეზერვების“ ფეხბურთელთა გუნდი.

---

### თანამედროვე ხუთჭიდში საერთაშორისო სასპორტო კავშირის კონგრესი

ბუდაპეშტი, 18 ოქტომბერი. (საკდესი). აქ გაიმართა თანამედროვე ხუთჭიდში საერთაშორისო სასპორტო კავშირის კონგრესი, რომელსაც კავშირში შემავალი თვითეული ქვეყნიდან ესწრებოდა ორი დელეგატი. კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ შემდეგში შეჯიბრების წესებიდან ამოღებულ იქნას დებულება მოფარიკაკავების ორმაგი დამარცხების ჩათვლის შესახებ (როცა დაწესებულ ვადაში ვერც ერთი შეჯიბრებული მეორეს ვერ უჩჰვლეტს), არამედ განგრძობილ იქნას ბრძოლა ერთ-ერთი მოფარიკაკავის გამარჯვებამდე. თანამედროვე ხუთჭიდში საერთაშორისო კავშირის წევრებად მიღებულ იქნენ ჩეხოსლოვაკია და რუმინეთი. კონგრესმა გადაწყვიტა მეექვსე შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში მსოფლიო პირველობაზე მოეწყოს 1955 წლის ოქტომბრის დამდეგს ბერლინში (შვეიცარია).

---

## ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების VII სპარტაკიადა

ერევანი, 18 ოქტომბერი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). სომხეთის დედაქალაქის სასპორტო ბაზებზე გრძელდება აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სპორტსმენთა ტრადიციული სპარტაკიადა. სპორტის ყოველ სახეობაში გამართულ შეხვედრებს ათასობით მაყურებელი ესწრება.

18 ოქტომბერს პირველობისათვის გამართულ ბრძოლაში ჩაებნენ ტანმოვარჯიშეები, ჩოგბურთელები, მოკრივეები, კლასიკური მოჭიდაველები, ველოსიპედისტები.

ასპარეზობა დაამთავრეს შტანგისტებმა. მათ დაამყარეს 16 რესპუბლიკური და 1 მსოფლიო რეკორდი. ქვესაფენო წონის შტანგისტთა შორის ორი ხელით სიმძიმის აწევაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა სპორტის ოსტატმა აკოფიანცმა (სომხეთი, 128,3 კილოგრამი).

საშუალო, ქვემძიმე და მძიმე წონაში საქართველოს შტანგისტებმა შეიცმა, კოშაძემ და ქართველიშვილმა 7 რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს. აქედან ქართველიშვილმა — 3, კოშაძემ და შიცმა ორ-ორი.

წონის მიხედვით პირველი ადგილი დაიკავეს: მსატე წონაში — სარიბეკიანმა (სომხეთი, 292,5 კილოგრამი), ქვემსუბუქ წონაში — ხანეკაშვილმა (საქართველო, 330 კილოგრამი), მსუბუქ წონაში — არუთინიანმა (სომხეთი, 330 კილოგრამი), ქვესაშუალო წონაში — აკოფიანცმა (სომხეთი, 395 კილოგრამი), საშუალო წონაში — შიცმა (საქართველო, 372,5 კილოგრამი), ქვემძიმე წონაში — კოშაძემ (საქართველო, 390 კილოგრამი), მძიმე წონაში — ქართველიშვილმა (საქართველო, 400 კილოგრამი).

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა საქართველოს შტანგისტთა კოლექტივი.

სპარტაკიადის მეორე დღეს სომხეთის კალათბურთელმა ქალებმა მოუგეს აზერბაიჯანის გუნდს ანგარიშით 51:50.

დიდი ინტერესი გამოიწვია აზერბაიჯანისა და საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა შეხვედრამ. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა 24:24, ორი ტაიმის ბრძოლა — 53:53. დამატებით დროში საქართველოს კალათბურთელებმა მოიგეს მატჩი ანგარიშით 59:56.

სომხეთისა და აზერბაიჯანის კლასიკურ მოჭიდაველთა შეჯიბრება დამთავრდა 4:4. იმის გამო, რომ სომხეთის გუნდს სუფთა მოგება მეტი ჰქონდა, გამარჯვება მას მიეკუთვნა.

18 ოქტომბერს ტანმოვარჯიშე ქალები პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთის სავალდებულო ვარჯიშში. ხუთ იარაღზე ვარჯიშის შემდეგ წინ არიან ჯუღელი (საქართველო), ვასილევა (სომხეთი) და ჩარგეშვილი (საქართველო). გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზეა საქართველოს ტანმოვარჯიშე ქალთა კოლექტივი.

პირველი შეხვედრა ჩოგბურთში სომხეთისა და აზერბაიჯანის ჩოგბურთელთა შორის დამთავრდა სომხეთის სპორტსმენთა გამარჯვებით 3:2. სომხეთის მოკრივეთა კოლექტივმა მოუგო აზერბაიჯანის გუნდს 8:2.

ხუთჭიდის ერთ-ერთ სახეობაში — ფარიკაობაში პირველი ორი ადგილი გაიყვეს საქართველოს გუნდის წარმომადგენლებმა მანჯავიძემ და მიხაილიკამ. გუნდურ ჩათვლაში კვლავ წინ არიან საქართველოს ხუთჭიდოსნები.

მეორე დღეს მძლეოსნობაში გაიმარჯვეს: ბადროს ტყორცნაში ქალთათვის — დუმბაძემ, 200 მეტრზე რბენაში ვაჟთათვის — ანთაძემ, 400 მეტრზე რბენაში ქალთათვის — პუჩკოვამ (სომხეთი), სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთათვის — შავლაკაძემ, ბირთვის კერაში ვაჟთათვის — — ოვსეპიანმა (სომხეთი), სპორტულ სიარულში 10 კილომეტრზე — აზზუმანიანმა (სომხეთი), 800 მეტრზე რბენაში ვაჟთათვის — ავაქიანმა (სომხეთი).

---

**რედაქტორის მოადგილე**
**რ. ჟურაციკიძე.**


## ყურადღება!

**400-დან 100.000-მდე მანეთის მოგება შეიძლება სახელმწიფო 3% შინაგანი მოგებიანი სესხის ოგლიგაციებით**

**1954 წლის 30 ნოემბერს ქალაქ მოსკოვში** შედგება სახელმწიფო 3% შინაგანი მოგებიანი სესხის მოგებათა მორიგი 42-ე ტირაჟი. ტირაჟში გათამაშდება სულ **27.901.200** მანეთის **51.000** მოგება, მათ შორის **50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000** და **400**-მანეთიანი მოგებანი.

ყოველწლიურად ტარდება ამ სესხის 6 ძირითადი ტირაჟი: 30 იანვარს, 30 მარტს, 30 მაისს, 30 ივლისს, 30 სექტემბერს, 30 ნოემბერს და ერთი დამატებითი მოგებათა ტირაჟი — 30 სექტემბერს.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

**შეიძინეთ სახელმწიფო 3% შინაგანი მოგებიანი სესხის ოგლიგაციები!**

**საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.**



**თბილისის სახელმწიფო ცირკი**

**დღეს**
**მეორე ციკლი**
რსფსრ დამსახურებულ არტისტის
**იური დურროვის**
განახლებული პროგრამით
**დიდი საცირკო წარმოდგენა**
3 განყოფილებად
საბჭოთა ცირკის წამყვანი ოსტატების
მონაწილეობით

**კვირაობით დღის 2 საბავშვო წარმოდგენა**
სალამოს წარმოდგენების დასაწყისი
8 ს. და 30 წ.,
დღის — 12 ს. და 3 საათზე.
ბილეთების წინასწარ შეძენა სახცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.



**დისერტაციების დაცვა**
**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი**

(ფელიქიშვილის ქუჩა № 10).

1954 წ. 9 ნოემბერს დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. **მარიამ კაპიტონის ასული ტარაპაიძე**, თემაზე: „საქართველოში მოზარდი ხანჭკოლა (თეთრი, ყვითელი და ლურჯი), როგორც ნედლეული ასპარაგანის მისაღებად“.

2. **ლევ ანატოლის-ძე კუზნეცოვი**, თემაზე: „Дифференцированные методики лечебной физкультуры при поражениях периферической нервной системы пояснично-крестцового отдела в комплексной терапии больных на курорте Сочи-Мацеста“.

შრომების გაცნობა შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).



**დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში**

**რუსთაველის სახელობის** — გზა მომავლისა, **გრიბოედოვის სახელობის** — ერთი სიყვარულის ისტორია, **სომხური დრამის** — ვაგიფი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — წითელქუდა (ბიბლიოთეკა № 3, 5 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მშვენიერი ვასილისა (10 ს.), **მუსიკალური კომედიის** — ბრშინ მალ-ალან.

• • •

**რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის (ხაზამთრო), ისანი (ხაზამთრო), პლეხანოვისა და ვორშილოვის სახელობის კლუბები (ხაზამთრო)** — ავარა (II სერია), **კოლხიდა (ხაზამთრო და ხაზაფხულო), კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი** — ავარა (I სერია), **კომკავშირელი, გორკის სახელობის პარკი** — ორი ბიგხი მიწა, **დიდუბე (ხაზამთრო და ხაზაფხულო), კოლმეურნე, ოფიცერთა სახლი, ძერ